

დავით აღმაშენებლის საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
JANVIER
1936—№ 121

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ღ ს პ ე ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ღ .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—1935 წლის მემკვიდრეობა.
რ. ინგილა—ახალი წელი ძველი ვალეებით.
გ. ქურული—კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ.
ჟ. მარტენი—სერიოზული გაფრთხილება.
ილ. ნუგუმიძე—მოზარდი თაობა გველუპება.
ემ. ლ—მე—პრეზიდენტი—განმათავისუფლებელი.

X.—უან მარტენის მოხსენება.
ბ. არიძე—ანანია სალუქვაძე.
მეზობელი—ვალსა იმნაძე.
ნაურო—წერილი ამერიკიდან.
დამსწრე—ვაჟა-ფშაველას დილა.
წერილები რედაქციის მიმართ. და სხვ.

1935 წლის მემკვიდრეობა

ცუდი, ვალეებით დატვირთული მემკვიდრეობა დაუტოვა ძველმა წელმა ახალ წელს. პასივი იმდენათ სჭარბობს აქტივს, ახალი წელი, რომ შეეძლოს, უარსაც კი იტყოდა მასზე! გაკოტრება, ან უკეთ—ომი თითქო ვარდაუვალა, ყოველ მხრიდან მის სამხადისზე მოისმის ხმა. მსოფლიო ირანება საომარ წესზე, ხმელეთის თითქო ხუთივე ნაწილი უკლებლივ უნდა გაეხვიოს ალში...

შეერთებული შტატები, შეშინებული, რომ მისმა ექსპანსიურმა პრეზიდენტმა მრუდეთ არ მოიხმაროს თავისი უფლება, დაჩქარებით ნეიტრალიტეტის კანონს იმუშავებს, რაიცა სულ ადვილად ნამდვილ ხარვეად შეიძლება იქცეს, ერთის მხრით, იტალია-ეთიოპიის ომში და, მეორეს მხრით, იმავე იტალიის და ინგლისის კონფლიქტში.

ამას კი უთუოთ თავისი გავლენა ექნება ინგლის-საფრანგეთის ურთიერთ დამოკიდებულებას. ამ ორი სახელმწიფოს სამხედრო, საზღვაო და საჰაერო შტატები გეგმებს იმუშავებენ, ვინცობა იტალიამ საომარი ზომები რომ მიიღოს ხმელთა შუა ზღვაზედო, აქედან სამხედრო კავშირი ინგლისსა და საფრანგეთს შორის თითქო უკვე ფაქტია და მისი საზრუნავი უმთავრესათ რეინის ფორტია.

ასე სჯის, ყოველ შემთხვევაში, გერმანია, და მისი პრესა ლოკარნოს პაქტს დარღვეულად სთვლის. გერმანიამ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს მკაცრი

პროტესტი განაცხადა საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთ დახმარების პაქტის დადების წინამდებ, რადგან ის ლოკარნოს პაქტს არ ეთანხმება. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის პარლამენტი სწორეთ ამ რუს-ფრანგთა პაქტის რატიფიკაციას აპირებს ამ დღეებში.

ბერლინის დასამშვიდებლათ პარიზი და ლონდონი ნაბიჯებს დგამენ: ლოკარნო ძალაში რჩება, ჩვენი სამხადისი შენ წინამდებ არაა მიმართული, მაგრამ საეჭვოა, დააჯერონ იგი. მით უფრო, გერმანიას სხვა უფრო ღრმა მიზეზები ამოძრავებს. იტალიის კოლონიალურმა ომმა აფრიკაში მას მწვავეთ დაუყენა თავის დაკარგულ კოლონიების კითხვა: თუ იტალიელნი არ ეტყვიან თავის ტერიტორიაზედ, ჩვენ ხომ, ვინც ერთი მესამედით მეტრიცხოვანი ვართ მათზე, სულ ვიხუთებითო. ეს ჩივილი იურიდულ საფუძველსაც არაა მოკლებული, რადგან გერმანიის კოლონიები არავის მიუკუთვნებია გამარჯვებულ სახელმწიფოებისთვის, ისინი მხოლოდ მანდატორები არიან, ერთა ლიგის ზედამხედველობის ქვეშ.

ესეც არ იყოს, დასავლეთის დიდი სახელმწიფოების განუწყვეტელი საილუმლო თათბირები (გაიხსენეთ რომი, ლონდონი, სტრეზა, ენევა, რითაც დაიწყო შარშანდელი წელი) ცუდათ მოქმედებს გერმანიის ფსიქოლოგიაზე, ის ვერ ითმენს, რომ ევრო-

ბის კითხვები მის დაუსწრებლათ წყდებოდეს. ეს ცხადი გახდა ყველასათვის, როცა გერმანიამ სხვის დაუკითხავათ ერთის მოსმით გააუქმა ვერსალის წავის სამხედრო მუხლები და შეუდგა განუსაზღვრელ შეიარაღებას. ცხადია, ეს აქტი გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის იყო ევროპისთვის, ვინემ იტალიის გალაშქრება აფრიკაში, მაგრამ ყველას ახსოვს, თუ როგორ ადვილათ გადიტანეს იგი!

ინგლისმა პირველმა იცნო de facto, თუ შეიძლება ასე ითქვას, გერმანიის შესვლა საერთაშორისო კონცერტში, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის და უფრო ძლიერიც ბევრი მათგანის. მან დასდო გერმანიასთან საზღვარ ხელშეკრულება და თითქო შეაჩერა მეტოქეობა ამ დარგში ორთავეს შორის.

მაგრამ, უნდა ითქვას, ინგლისის გაცილებით ადრე ახალმა დიდმა სახელმწიფომ პოლონეთმა აიღო ეს ალღო, და იგი გამოიწვია, როგორც ვიცით, მის მოკავშირე საფრანგეთის ცალმხრივმა დაახლოებამ საბჭოთა კავშირთან. დადგა მომენტი, როცა პოლონეთს არჩევანი უნდა გაეკეთებია ორ დიდ მეზობელ შორის და მისმა დიდმა მარშალმა განსვენებულმა პილსუდსკიმ თავისებური სიმამაცით გადასურა ეს დილემა: შეკრა თავდაუსხმელობის პაქტი გერმანიასთან და მასთან ერთათ უარყო აღმოსავლეთის პაქტი.

თავბრუ დასხმული საბჭოთა კავშირი მოასკდა ყენევას და საფრანგეთის თავდებობით ერთა ლიგის წევრი გახდა. მაშასადამე, ხმელეთის მეექვსედიც თითქო თანასწორი გახდა თანასწორთა შორის, მაგრამ ეს ფაქტი შეიძლება საბედისწერო გახდეს ასე გაუფრთხილებლათ მის მიმღებ ყენევის დაწესებულებისათვის. მართლაც, საბჭოთა კავშირთან დიდი ანგარიშები აქვთ დასავლეთით და შორეულ აღმოსავლეთით; ვსთქვათ, მას მოუხდა კონფლიქტი აქედან ან იქიდან, ან ორსავე მხრიდან ერთბაშათ, როგორი იქნება ერთა ლიგის მდგომარეობა, შესძლებს ის გამოექმთავოს თავის წევრს? იაპონია და გერმანია არ არიან წევრები, შესძლებს ის გაილაშქროს მათ წინამდევ?! ამ რიგათ, ამ ორი დიდი სახელმწიფოს გასვლამ და საბჭოთა კავშირის შესვლამ მთლათ ააფორიაქა ერთა ლიგის ისედაც აწეწილი საქმეები.

არც მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება მიიღეს ყენევაში მხედველობაში. საბჭოთა კავშირის ოკუპაციით უკირავს სხვა ერები, მათ შორის ისეთნი, რომელნიც გუშინ დამოუკიდებელი

იყვნენ და ცნობილი სხვებისაგან. ერთა ლიგამ თავის თავზე აღებული სრულიად გარკვეული ვალდებულება კი დაივიწყა საქართველოს მიმართ! როგორ ფიქრობს, ვსთქვათ, მოსკოვს აუჯანყდა კავკასია, უკრაინა, თურქესტანი, და განთავისუფლებული მას კარზე მიადგენ,—უარს ეტყვის მათ მილებახე?!

მზგავსი ბევრი სხვა კითხვებიც შეიძლება დაისვას, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასახნახავათ, თუ რა დიდი შეცდომა გააკეთა ერთა ლიგამ, როცა საბჭოთა კავშირს იღებდა თავის წრეში. ის თითქო აპირებს მშვიდობიანობის კოლექტიური უზრუნველყოფით სამუდამოთ ურყევი გახადოს მის წევრთა და აქედან საბჭოთა კავშირის დღევანდელი საზღვრები! ამის წინამდევ მთელის არსებით პროტესტს აცხადებდენ და აცხადებენ კავშირის არარუხის ერნი და, თავის თავათ მისახვედრია, შესაფერ წუთში სიტყვიდან საქმეზე გადავლენ.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, როცა ერთა ლიგის შეცდომებზე ვლაპარაკობთ, პასუხისმგებელი არიან არა ყველა მისი წევრები, არამედ დასავლეთის დიდი სახელმწიფოები, რომელთა კარნახს იგი ემორჩილება. ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, სანამ ერთა ლიგა უფლებასა და სამართლიანობას და არა უფრო ძლიერის ბრძანებას დაეყრდნობა.

მაშასადამე, ესაა დიდი სახელმწიფოები, ვინც მსოფლიოს ბედს ატრიალებენ და პატარა სახელმწიფოები მხოლოდ მათ ზურგს უკან ირახმებიან. ამისდა მიხედვით, თქვენ ხედავთ, რომ, აფრიკის ომთან დაკავშირებით, იტალია თითქო იხრება გერმანიისკენ, და მისი პრესა იტალია გერმანია-იაპონიის ბუნებრივ სოლიდარობაზე სწერს, რომელიც ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სამივე სახელმწიფო, მოსახლეობით მდიდარნი, მიწა-წყლით ძალზე ლარბნი არიანო. მათ ერთი ინგლისელი პროფესორი «დამმეულ» სახელმწიფოთ ეძახის, ხოლო დანარჩენ დიდ სახელმწიფოებს—«მადლარს»!

საითკენ იხედებიან ეს «დამმეულნი»? საბჭოთა კავშირისაკენ! იტალიას აქ კიდევ ის ახალი საბუთი აქვს, რომ მოსკოვმა არ დაუფასა მას დუჩეს მიერ მისი ცნობა სხვებზე ადრე და სავაჭრო კავშირის გაბზაო. გერმანიის და იაპონიის არა მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან ხომ დიდი ხნით ცნობილია, მათ თითქო საიდუმლო ურთიერთ დახმარების ხელშეკრულება კი დასდეს. არაიან

იცის, ვინ დაიწყებს, შეიძლება თვითონაც არ იციან! თუ ბერლინში დააყურეთ, იაპონია დაიწყებსო—გაიგონებთ, თუ ტოკიოში, არა, გერმანია! ვინც ეწინევაში დააყურა 1932 წელს, ეხსომება: ომი შორეულ აღმოსავლეთში 1936 წლის ადრე არ დაიწყება.

შორეულ აღმოსავლეთში ასაფეთქებელი მასალა თითქო ბლომითაა დაგროვილი, ამას კვენხით მოწმობს ახლათ გამომცხვარი მარშალი ტუხაჩევსკი და იმასაც კი დასძენს, რომ ჩვენ, ე. ი. მოსკოვი, ორთავე ფრონტზედ შევძლებთ ბრძოლასო. იაპონია ჩვეულებრივ სდუმს, ფაქტი კი ისაა, რომ ის ესლა უშუალო მოსაზღვრეა საბჭოთა კავშირის და მანჯუკო მის ძლიერ ბაზას წარმოადგენს. ის ჩრდილოეთ ჩინეთიდანაც იკაფავს გზას, შიდა-მონგოლიიდანაც გარეთ-მონგოლიას თავის რკალში უპირებს მოქცევას. უკვე ცნობილია, რომ მოსკოვმა გარეთ-მონგოლიის «პრეზიდენტს», რომელიც მას ეწვია სტუმრად წლის დამლევს, სამხედრო დახმარება ვერ დაპირდა, მაშასადამე, ერთი ფრონტიდანაც იხებს.

გაცილებით უფრო გაუტკვეველია დასავლეთის ფრონტის საქმე. გერმანია და საბჭოთა კავშირი მოსაზღვრენი არ არიან. მათ შორის ერთი დიდი სახელმწიფოა—პოლონეთი და ბევრი პატარა სახელმწიფო ბალტიკაზედ, დნესტრზედ თუ შავ ზღვაზედ. მაგრამ გადამწყვეტ როლს თამაშობენ ისევე დიდი სახელმწიფონი პოლონეთს სამხედრო კავშირი აქვს საფრანგეთთან, მაგრამ ის არ არის ვალდებული გვერდში ამოუდგეს მას საბჭოთა დასახმარებლათ, ხოლო გერმანიასთან, რომლის წინამდევ იყო მიმართული ხსენებული კავშირი, მას მეგობრული განწყობილება აქვს. მეორეს მხრით, არსებობს ლოკარნო, რომლის ძალით გერმანია თავის ნებით ადასტურებს ვერსალის საზღვრებს საფრანგეთ-ბელგიასთან და ამის თავდები ინგლისი და იტალია არიან. გერმანია იცავს ლოკარნოს დარღვევისაგან, როგორც ზევით დავინახეთ, და აცხადებს, ბოლშევიკებზე გალაშქრება ლოკარნოს მონაწილეთ ერთ ბეწვ თმასაც არ ჩამოუგდებსო. საფრანგეთს არ სჯერა ეს რწმუნება, მაგრამ არავინ იცის, როგორ შეხედვენ მისი თავდებნი: ინგლისი და იტალია. უკანასკნელი, როგორც დავინახეთ, კმაყოფილი არაა არც ერთით. თვით რუს-ფრანგთა პაქტიც მხოლოდ მაშინ შეიძლება სიტყვიდან საქმედ იქცეს, თუ ლოკარნო არ ირღვე-

ვა, ეს რეზერვი შავით თეთრზედ გააკეთა ლავალმა, როცა ხელს აწერდა მას.

მდგომარეობა, ამრიგათ, მეტად რთულია და დამძიმებული ბევრი მოულოდნელი შედეგებით. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ, ლონდონის საზღვაო კონფერენციის ჩაფუშვის წყალობით, ომის საშიშროება წყნარ ოკეანეზედაც იჩენს თავს. იაპონიამ მოითხოვა პარიტეტი ანუ თანასწორობა საზღვაო შეიარაღებისა და, რადგან ამერიკა და ინგლისი არ დათანხმდნენ, მან გაიწვია თავისი დელეგაცია კონფერენციიდან. ეს კი მოასწავებს იმას, რომ იაპონია დღეიდან შეუზღუდველ შეიარაღებას იწყებს ზღვაზედ და ინგლის-ამერიკაც იმავე გზას გაყვება, ან უკვე სდგას მასზედ. არავინ იცის, შეიკვრის თუ არა საზღვაო კავშირი ანგლო-საქსონურ ამ ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის, ამერიკა დაულაღვათ მუშაობს ამისათვის, ხოლო ინგლისი, მოკაგებული ევროპის და სხვა საქმეებით, ყოყმანობს. არ ყოყმანობს მოსკოვი და ეს მისახვედრია თავის თავთ, ის ცდილობს, ყოველ ზომებს ხმარობს, რათა მარტო არ დარჩეს იაპონიის პირისპირ და ამისათვის თავის მეგობრობას შესთავაზებს როგორც ამერიკას, ისე ინგლისს...

თუ ანგარიშს გაუწევთ ყველა იმას, რაც ზევითა ვსთქვით, ცხადია, რომ საბჭოთა კავშირში მომწვედელი არა-რუსი ერები გულგრილად ვერ დარჩებიან. ეს მით უფრო, რომ ხშირათ გაისმის უცხოეთის პრესაში უკრაინის, კავკასიის, თურქესტანის სახელები. აქედან ის დასკვნა არ უნდა გაკეთდეს. რა თქმა უნდა, რომ ამ ქვეყნებს დღეიდანვე მართებთ ამოძრავება ან კიდევ თავის სვე-ბედის ამა თუ იმ კოალიციასთან დაკავშირება. ეს იქნებოდა დიდათ გაუფრთხილებელი და საბედისწერო ნაბიჯი. ერთი კი სავალდებულოა იცოდნენ მათ: თუ ომი ატყდა, მისი მსვლელობა და შედეგები უთუოთ იქონიებს დიდ გავლენას მათ მომავალზე. ურყენი მიზანში, დაუზარებელნი საშუალებაში, ისინი ფხიზლათ, მამაცათ, იმედიანათ უნდა უტდიდნენ მათგან სრულიად დამოუკიდებელ საერთაშორისო ხლოართის გახსნას. ნუ დავივიწყებთ, ბოლშევიკურ ახმახ იმპერიის ნგრევა, როგორც წინეთ, ესლაც ცენტრიდან დაიწყება, თვით რუსის ხალხიდან, რომლის «პატრიოტიზმი» საბჭოთა საპყრობილესთვის, მხოლოდ ყინულზედ სწერია, მიუხედავად კრემლის ჩმახვისა.

სხალბი წმლი ქველი ვალმბირი

მიძმე და უცნაურ მოვლენებით დატვირთული გადასვენა საუკუნოებში 1935 წელი. მის მიერ დატვირთულ ულანათო მემკვიდრეობით უკვე ეხლაც ზურგმონხეილია აწობილი ქრონოსი და ვინ უწყის, კიდევ რამდენი სიგონჯე მიტმანსება მას, ვიდრე თავის აღსასრულს მიაღებოდეს.

ეტყობა ჯერ კიდევ გამოუზომელი ყოფილა ეპი, როცა ქვეყანას უნდა გადაეფანტოს დიდი ომის მოზნამული ჰაერი: ბიბლიური თქმულება ამბობს, რომ წინასწარმეტყველმა განსაზღვრულ მოქმედების შესასრულებლად ავი სულები მოიხმო, გარნა მათ საქმის დამთავრებისას აღარ მოისურვეს ღრუბლებს იქით გადაფრენა და ასე და ამგვარად შეპრჩნენ გამწარებულ ქურუმს. ჩვენს დღეთა შინა ასევე დამართათ პოლიტიკის საქეთმპყრობელებსაც, ხლო იმ განსხვავებით, რომ მოპატიუებულ ბოროტმა სულებმა ეხლა არამც თუ მოიკალათეს, არამედ ისე წათამამდენ, რომ გაშენებასაც მიჰყვეს ხელი.

ამბობენ, თითქოს ყველანი ერთთავად მოქანცულნიც არიან ომისა და მის მომდევნო ათას სიღუბნისაგან და კარგად იციან ისიც, რომ ახალი ომი სულერთიანად გააცამტვერებს ისედაც დაზრეტილ ევროპას, მაგრამ ისიც ცხადია უთქმელად, რომ ომის ტეცხოს ისეთის ხალისით აროდეს ეთამაშებოდნენ, როგორც აწი. ჩემი სიტყვები ზოგიერთს შეიძლება გაზვიადებულად ეჩვენოს: თუმცა მართალია მეტისმეტად მილიტარულად განწყობილს სახელმწიფოში ცხოვრობ და ასეთს შემთხვევაში სულაც ადვილია აბერრაციულად აქაური სულისკვეთების გადატანა მიჯნის გარედაც, მაინც ვფიქრობ, რომ მეტნაკლებობით ყოველგან ერთიდაიგივეობა სუფევს.

ყველანი რაღაც ფაცაფუტში არიან, რაღაცას ელოდებიან, რაღაცისათვის ემზადებიან, და ამასთანავე ყველანი გრძობენ და დარწმუნებულნიც არიან, რომ ეს «რაღაცა» არის ომის მოლოდინი, ამისათვის სამზადისი, თუმცა ბაგუნე ასევე ყველას მშვიდობისა და სახიერების სიტყვები აკერია! მიმოიხედეთ ირგვლივ, ბეჯითად დააკვირდით ყოველდღიურ ცხოვრებას, რაშიაც უნდა გამოიხატებოდეს იგი—უბრალო მომაკვდავთათვის მიუწოდებელს პოლიტიკაში, თუ დიპლომატურ ხრიკებში—და განა რომ უშაძლევ იყოსავთ თთვის წამების სუნს! აი რომ წმორედ ისეთს დღეთა განცდაში ვართ, რომელთა გამო იტყვიან: თოფნი თავისით ისვრიანო!

წრესგადასულად დაქიმული საერთაშორისო მიმართების სიმები დაწყევტით იმუქრებიან; ახრუკულ ეთიოპიაში ანთებული ჯაგი ღვივის, და რომელ მოგვს ძალუძს ამოიცნოს, რასა და სად მოედება მისი ალი, საით გადავა და ვის გადაიტანს აფრიკის ხანძარი?!

მისტიური ქვეყანა, რომელიც არც თუ დღეს გადასცილებია ბიბლიურ ხანის ყოფაცხოვრებას,

როცა ის—ქველთავანძველი ეთიოპია—სავასა და არაბეთის ხალხებთან ერთად «ქვედაემხო პირისაწინაშე ღვთისა», შობის ირმოლოგიონის ტექსტით რომ ვთქვათ,—დღეს თავგამოდებით იბრძვის აი ამ უცნაურ სახის გადასარჩენად! შეიძლება სხვადასხვა აზრისანი ვიყვნეთ ამ შერეულ, ანუ მათი ენით, აზისინურ ხალხზე და არც თუ დიდად ვაფასებდეთ მუნ არსებულს სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას, მაინც განცვიფრებასა და ერთგვარ პატივისცემას უნდა იწვევდეს ჩვენში, როცა ვაკვირდებით, რა ზომის ვაქცავობითა და უტეხი ნებისყოფით ეკვეთება ცისა და ხმელეთის გადამქრელ ფოლანის მანქანებში მჯდომ ევროპიელ ჯარს შიშველ-ტიტველი, კუჭზე ობმოკიდებული პრიმიტული მხედრობა...

ომი აფრიკაში არამცთუ არ დამთავრებულა, ის ჯერ ფარსაგად არცკი დაწყებულა, თუ ანგარიში ჩავადებთ იმ გარემოებას რომ იტალიელების მიერ ტყვია წამლის ფრქვევა აქამომდის ნადირსა და ფრინველს თუ აფრთხობდა, თორემ აბა ვინ ელობებოდა მის წინსვლას, ან ვისა ჰსმენია დიდი შემდმუსვრელი ბატალია, რომელსაც ომის ბედი თუ არ უნდა გადაეჭრა, ერთგვარად მაინც უნდა აღმოეხატა მისი მიმართულების სურათი. ომი აღმოსავლეთ აფრიკაში ამჟამამდის პრევენტული მოქმედებით აღინიშნება და გადამწყვეტი შეტაკებანი ჯერ კიდევ გამოუტნობ პერსპექტივებში იმალებიან.

ამასობაში კი საერთაშორისო ცხოვრებაში ისეთი ჯურის გარემოებებმა იჩინეს თავი, რომლებმაც უკანა რიგში დასწიეს იტალია-ეთიოპიის ეგრედ წოდებული კონფლიქტი: ყენევამ უღმობელად უკუაგდო იტალიის მემორანდუმი და ებრვე სხვა წინადადებანი, თავდასხმად გამოაცხადა მისი ოპერაციები ერიტრეა-სომალიაში და—როგორც წინასწარი ზომა—მას სასჯელად სანქციები დაუდო. ამ, დიდის შედეგებით აღსავსე, დადგენილების ფირმანი ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოთა 95 პროცენტს ეკუთვნის.

ყენევის აქტს აქ უპასუხეს უკიდურესი ქსენოფობიით—გარეგნულად მაინც. «იტალია თავის მხრით ბოიკოტს უცხადებს სანქციონისტებს»—ასეთია ოფიციალი ფორმულა. სანქციონისტების უსტაბაზობას კი აწერენ ინგლისს და, რასაკვირველია, არცა სცდებიან. ასეთი წინამძღოლობა დიდმა ბრიტანეთმა ხელთილო იმპერიის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, როცა მიხვდა, რომ იტალიის ექსპანსია აღმოსავლეთ აფრიკაში მუქარით აეყუდებოდა მის საზღვაო ბაზებს აფრიკაშიაც და ასე გაყოლებით არაბეთ-ინდოსტანშიაც: საიმპერიო გზების შეკვრა და დახლართვა შეერთებულ სამეფოს ამხობამდისაც არავისთვის უპატიებია...

ცბიერი ალბიონი! ის ეხლა იჩენს ეგზომ აქტიობას, თორემ თითიც არ გაუწმრევია და ხმაულები უქვრეტდა მსგავს მოვლენას, როცა იაპონია გადმოცოცდა კონტინენტზე და ჩინეთის ხარჯზე თავის

სავსალო პოლიტიკურ ერთეულების დანერგვას მიჰყვება ხელი. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ლამენტაცია ჩვენი საუკუნის პოლიტიკას როგორც არ უდგება; ინებეთ და განგვიმარტეთ: რა სახომი უდევს ჩვენი დროის საერთაშორისო ურთიერთობას? სამართალი? მორალი? ალტრუისტული მსხვერპლგაღება? მოყვასისადმი სათნობა? ერის ღვაწლმოსილობისა და მისი ისტორიის დაფასება? ხანდასმულ კულტურის კეთილისყოფა??? აბა მიაშუქ-მოაშუქეთ თვით დიოგენის ჭრაქი: გამოინახება განა სადმე პოლიტიკური მოვლენა, სავნობრივ ინტერესის გარეშე ამოქმედებული?

აიღეთ თუნდაც ეხლანდელი ომი: რაოდენი მეღანი დაიხარჯა შეიარაღებულ შეტაკების განმზადების ხანაში იმის დასასაბუთებლად, რომ აბისინიის სახელმწიფო სტრუქტურა დაბეჯითებით მოითხოვს ზედამხედველობას მასზე, რომ იქ არსებული საზოგადოებრივი წყობილება ძირიანად ეწინააღმდეგება ევროპულ ქრისტიანულ (sic!) მორალს და ამიტომ ის არამტო უნდა განიდევნოს ერთა ლიგის წევრობიდან, მას უნდა დაუწყონებლივ ჩამოეჭრას მიერთებული ყველა პროვინციები, მანდატის დაწესებით საკუთრივ ეთიოპიაზე... ზარბაზნების გრგვინვაში ეს თეზისები—რა თქმა უნდა—განიდევნენ ხმარებიდან, ხოლო მათ ნაცვლად გამოტივტივდნენ მთელის თავის სახითა და შინაარსით რეალ პოლიტიკის არგუმენტები.

ინგლისმა არაფრით უპასუხა იაპონიის ექსპანსიას შორეულ აღმოსავლეთში? მაგრამ რომელმა სხვა სახელმწიფომ თავსიღო ამ «იშპერიალიზმის» შეჩერება? ინგლისმა ლოიდ-ჯორჯის მთავრობის სახით თავის ბროზე თავისუფალი საქართველოც ყმაღ მიანება ბოლშევიკურ რუსეთს, მაგრამ ვინ გამოჩნდა სხვა ისეთი, რომ აღეკვეთა ეს ბროლომქმედება? ერთია მარტო ბრალდებული? ერთმა უნდა ივალოს onus probandi-ს შესრულება?!.. 15 წელიწადი სრულდება მას შემდგომ, რაც ქართველი ხალხი გაუგონარ მონობაშია შთაგდებული! ამ წელთა მანძილზე კაცობრიობას არა ერთი და ორი შემთხვევა ქონდა კიდევ ზედმეტად დარწმუნებულიყო ჩვენი ერის ერთსულლოვან გარდაწყვეტილებათა, მაგრამ—შევეკითხოთ ყველას—გაკეთდა რამ ამ ქამდმის რუსეთის მიერ ჩადენილ ძალმომრობის მოსასპობად? განა გაბათილდა საკრებულო ცნობა საქართველოს სუვერენიტეტისა de jure-თ? რა მოუვიდა, ვინ გადაფარა ეს კანონიერი—საერთაშორისო უფლების ნორმებზე შესრულებული—აქტი?! სად არის გადაძალუთი საქართველოს habeas corpus ი? სად იყვნენ და გზა სად დაეძნათ იმ «მორალისტებს», რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წითელ მოსკოვის დესპანთათვის ქენების ალაყაფის გაღებაში?! მცნება «სანქცია» ნუ თუ მხოლოდ დღეს შეეძინა საერთაშორისო უფლების ნომენკლატურას?!..

გარნა ყოველივე ეს ჯერხნობით ამაო კითხვებია

ჩვენთვის; თუმცა ეს გარემოება მათ სულაც არ აცლის დიდაქტიკურ ჰაზრს ამბავთა და საქმეთა აღწერისა და შეთვისებისათვის.

შოლტი ისე უნდა მოიქნო, რომ შენვე არ მოგხედეს: მოვლენათა შემფასებელი კრიტიკიუმი ერთსადაიმავე სახომს უნდა ეყრდნობოდეს, თუ კი დუნიაში მართლა არსებობს ზნეობისა და სამართლის თვალსაზრისი. გარდაუვალი კათეგორიის მცნება არ ურიგდება მერყევე ყოფაქცევასა და პოლიტიკას; არც პრინციპი ეთვისება მიკიბ-მოკიბულ გზებით მოხეტიალეთ...

აყრა და აფორიაქება ცხოვრებისა ძნელი ხელოება არ არის, განსაკუთრებით ეხლა, როცა საერთაშორისო «ფოკს-ტროტ»-ის კონცერტში ლიტვინოვი არის პირველ ვიოლინის დამკვრელი! ფიქრი არ უნდა, მოსკოვის მელოდიები ამ წელსაც გამოაყრუებენ ჩვეულ აუდიტორიას დიდად მომთმენსა და ნაკლებად მომდურავს! მაგრამ—რაც თავი და თავია—გადარჩება ვინმე დაუზიანებელი, უკბენი? თქმულა: ბუნჯაკალი ბედაურსა და ჩოჩორს ყველას ერთნაირად უქვრება კუდქვეშაო...

კუკუმათ ბნელეთში იკვლევს გზას ახალი წელიწადი! ბევრგან წააწყდება ის «სცილოლასა და ხარიბდას», ბევრჯერ წაუსლტება ფენი, მრავალი ტვირთი კიდევ დააწვება ადრევე მოხნეილ მის ზურგს.

მის ტომარაში ჩვენი ვნივართ და აი უკვე მეთხუთმეტეჯერ ვარდგენთ გამოუსყიდავ თამასუქს: რას გვეტყვი, ახლო წელიწადი? გაქვს გასტუმრების უნარი? ქართველი ერის პრეტენზიები კანონიურ შესაძლებლობის ფარგლებს არა სცილდებიან და მასზე გაცემული თამასუქიც სულ ადვილად გამოსასყიდია, უკეთუ ძალდატანების ნორმებს—სანქციები იქნება, თუ სხვაგვარი რეპრესალიები—მიეცემათ სათანადო მიმართულება და ინტერპრეტაცია.

გარნა ეს წელიწადი მარტო ევროპაზე ხომ არ არის მიბმული და არც იტალია-ეთიოპიის პრობლემით ამოხაზული! მისი გზები სხვაგანაც სჭრის და იქ უფრო გაშუქებული არის მისი ბრუნვა. დამორბეულ ქვეყნებში ამბავთა ტრიალი უფრო იზიდავს ჩვენს გულისყურს: აღმომავალი მზის იმპერიის ნებით შექმნილი ვითარება ჯერ კიდევ დასაწყისის პერიოდშია, მაგრამ დღესაც ადვილი ამოსაცნობია მისი შემდგომი წყებადი, მისი ჰაზრი და დანიშნულება. იქ დაბოლოს უნდა შესრულდეს ის, რისთვისაც ასე უძლური გამოდგა დასავლეთი; იქ გადაიჭრება პრობლემა იმ სახით, რომ ნახმევი მისი აქეთაც დაიჭექს. იქ დაწყებული აქტებით აქაური კვანძი განიხსნებიან. იქ მიმობანევენ ღრუბლებს, ევროპის მოქუშულ ცასაც შუქს მოუნათებენ: Ex oriente lux!

საქართველოს გულისმფლეთავ მაჯლაჯუნას იქნება იქიდანვე ეტიციოს მაგარი წიხლი...

რ. ინგილო,

კავკასიის კონფედერაციის კითხვების იჩველი

(საგულისხმო პარალელები)

(დასასრული)

3.

ერთის წამით მივიღოთ, რომ მართალი არიან ის სომხის პუბლიცისტები, რომელნიც ამტკიცებენ, თითქმის ქართველთა და სომეხთა შორის არსებობს რალაც გასასწორებელი კითხვები, და ასეთივე კითხვები არსებობდეს სომეხთა და დანაშთენ ორ კავკასიელთა რესპუბლიკებს შორისაც, მერე და რაო? განა იქ, სადაც ამ ჟამად კონფედერატული წესწყობილება განხორციელებულია, იქ ყველაფერში ყოველთვის მშვიდობიანობა იყო? განა, მაგალითად, შვეიცარიის კანტონებს შორის არ სწარმოებდა დავა და ბრძოლა? იქ ხომ ყველაფერი ეს დასძლიეს; დასძლიეს იმ დიადი იდეალისათვის, რომელსაც ცალკე კანტონების თავისუფლება და მათი დამოუკიდებლობა ეწოდება! შვეიცარიის სახელმწიფოებრივი ერთეულები—კანტონები—კონფედერატულად იმიტომ შეკავშირდნენ, რომ ერთი სულ უბრალო ჭეშმარიტება შეიგნეს: მათ შორის არსებული უთანხმოება არაფერია, შედარებით იმ მისწრაფებისა, რომელსაც დამოუკიდებლობა ეწოდება. ამიტომ ამჯობინეს მათ ძმურად მოგვარება ყველა უთანხმოების და ძმურადვე დაცვა საერთო თავისუფლებას, შეერთებულის ძალებით. ეს არც იქ მომხდარა ერთბაშად, მთელმა საუკუნეებმა განვლეს, სანამ უკანასკნელი კონფედერატული პაქტი გამოცხადდებოდა. თუ თავში მხოლოდ ორიოდ-სამიოდ კანტონის დაახლოება მოხერხდა, ესლა კავშირი მიღებულია უკვე 22 კანტონის მიერ. საინტერესოა იმ გზის გახსენება, რომელიც კანტონებმა განვლეს, მანამ დღევანდელ ესოდენ მკვიდრ სახელმწიფოებრივ ყოფას მიაღწევდნენ. როდესაც კაცი შვეიცარიის ისტორიას ეცნობა, ბევრს იმისთანა ამბავს შეხვდება, რაც საქართველოსა და მთლად კავკასიის ერებსაც გადახდენიათ.

ამას წინათ (1 ივლ. 1934 წ.) ჟურნალ «Revue des Mondes»-ში მოთავსებულ იყო საუტხოვო წერილი ბ-ნ Goizogue de Reynald-ისა, სათაურით. «La Psychologie du Peuple Suisse». ბევრი რამ, რაც იქ არის აწერილი, კავკასიელებსაც შეგვეხება. ავტორი ასეთ კითხვას აყენებს: «არსებობს კი შვეიცარიის ერიო?» და უპასუხებს: ასეთი ერი არ არსებობს! არსებობენ შვეიცარიელი ერებიო! ამიტომ მოცემულია ფსიქოლოგია არა ერთი ერის, არამედ ოცდა ორი კანტონის, ან სულ ცოტა იმ ოთხი ეროვნული ჯგუფის, რომელიც შვეიცარიის მოსახლეობას შეადგენსო. ამნაირად, შვეიცარია ერთი პატარა მხარე კი არ არის, არამედ იგი მთელი მსოფლიო არის, თუმცა კი პატარაო.

ეს სიტყვები ხომ ზედ გამოჭრილია კავკასიაზედაც, იმ განსხვავებით, რომ კავკასია სულ ოთხ კანტონს შეიცავს. მართალია ჩვენებური ოთხი კანტონი, თავის მხრით, საკმაოდ რთულ კანგლომერატს წარმოადგენს, მაგრამ როგორ მოეწყობა ცხოვრება

თვითეულ კანტონში, ჩვენებურად რესპუბლიკებში, ეს მათი საქმეა და ეს ეხება სავესებით, მხოლოდ და მხოლოდ, აზერბაიჯანს, მთას, სომხეთს და საქართველოს.

ცნობილი წიგნის: «La Suisse au XX Siècle» ავტორი, ბ-ნი კლერჟე ასეთ გარემოებას გადმოგვცემს ხაზ გასმით: «ვინაიდან შვეიცარია მომწყვდეულია ოთხ (მოქიშპე) ევროპულ სახელმწიფოთა შუა, სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია მისი დამოუკიდებლობა და ამაწვე მისცა raison d'être-ი მის ნეიტრალიტეტსაო. ჩვენი კავკასიაც ხომ ასევეა შემოფარგლული სამ სახელმწიფოთა მიერ: ოსმალეთით, რუსეთით და სპარსეთით. როგორც შვეიცარია იყო იძულებული იარაღით დაეცვა ევროპის მოქიშპე ერებისაგან თავისი თავისუფლება, კავკასიის ერებსაც ხომ იმავე პირობებში უხდებოდათ მათი დამოუკიდებლობის დაცვა! და როგორც შვეიცარიის ერებმა შესძლეს შენარჩუნება თავისუფლებისა, იმიტოც, რომ ისინი მოხერხებით სარგებლობდნენ ევროპის სახელმწიფოთა შორის არსებულ მეტოქეობას, ასევე, საუკუნოების გრძელ მანძილზე, კავკასიელი ერებიც შორსმჭვრეტელობით სარგებლობდნენ ყოველ უთანხმოებას, რომელიც მის მტრებს შორის ატყდებოდა ხოლმე. კერძოდ საქართველოს მთელი ისტორია საუკეთესო ილუსტრაციაა ამნაირი პოლიტიკისა. შვეიცარიის კანტონების შეკავშირება სწორეთ იმ მიზნით მოხდა, რომ ამით განემტკიცებინათ მათ თავისუფლება. ამავე მოსახრებით ხორციელდებოდა ხოლმე, გარკვეულ ეპოქებში, კავკასიის ერების დაახლოებაც. ამის თაობაზე ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, როდესაც დავით აღმაშენებლის და ირაკლი მეორეს ეპოქებს ვინსენიებდით. ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ადვილი საქმე იყო შვეიცარიის კანტონების დაკავშირება. მანამ ეს უკანასკნელი მოხდებოდა, მათ ხშირად ერთმანერთში უომნიათ კიდევ! ჰქონიათ ერთი გაუთავებელი დავა საზღვრებზე, სარწმუნოებრივ კითხვებზე და სხვა. მაგრამ ყველა ეს დასძლიეს. ყოფილა ისეთი მომენტებიც, რომ ერთხელ შეთანხმებულნი კვლავ აშლილან ერთმანეთში. იმ საერთო აწეწილობის და შფოთვის დასახასიათებლად M. Monuér ირწმუნება, ხუმრობით, რასაკვირველია, რომ როდესაც ღმერთმა შვეიცარია გააჩინაო, ასეთი ბედი დაუკვებოა: «Tu ne te débrouilleras jamais, ე. ი. ჩვენებურად რომ განვმარტოთ ეს სიტყვები: იყავნ დაუსრულებელ წეწვასა და გლეჯაშიო.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ასეთი ნაღვლიანი ანდაზაც კი გამოუთქვამთ: Helvetia Gratia Dei regitur et confusione hominum», ჩვენებურად ასე უნდა გავიგოთ: შვეიცარია ხელმწიფობს ნებსითა ღვთისათა და მისი მოსახლეობის აღრევითაო! მეტი არ იქნება რომ ეს ანდაზა-თქმულებანი კარგად დაიმახსოვრონ მათ, ვინც ასეთის დაქინებით უთვლიან სულთათა-



ნას კავკასიის კონფედერაციას. ბევრს ჰგონია, დასძენენ შვეიცარიის მისტორიენი, რომ კანტონების დაკავშირება და შემდგომი, კონფედერაციის დაწესება ეკონომიური მიზნებით მოხდა; ეს არ არის მართალი: თავი და თავი მიზნები სტრატეგიული მოსაზრება იყო და არა ეკონომიური. მართლაც და, რათა დამპყრობელებისაგან თავი უკეთესად დაცვათ, კანტონების შეკავშირება ბუნებრივი ხერხი იყო, ვინაიდან გავრთიანებულის ძალებით მტერს უკეთესად იგერებდენ. გეო-ფიზიკური პირობები შვეიცარიისა დაჟინებით მოითხოვდენ, ქვეყნის დასავად მტერს თავიანთი საზღვრების მოშორებით დახვედროდენ; ეწარმოებინათ: «დეფანს-ოფანსივი»-ო. სწორედ ხომ ამიტომ ხდებოდა, დროგამოშვებით, კავკასიელების ის ძველი შეთანხმებითი მოქმედებანი, რასაც მოწმობენ ჩვენი ისტორიული ფაქტები.

ენის მხრივ შვეიცარიის მოსახლეობა ასეა დაწაწილებული (1900 წ.):

გერმანელები	2.312.949.
ფრანგები	730.917.
იტალიელები	221.182.
რომანელები	38.651.
დანაშთენი ენები	11.744.

ენების ეს სხვადასხვაობა არასფერში არ გამხდარა დამაბრკალებელ მიზეზად. პირიქით, ისტორიული ფაქტები აი რას გვიჩვენებენ. გერმანელი შვეიცარია მთელი სამი საუკუნე იბრძოდა ავსტრიის წინაშე, რომლის ბატონობა სრულებით უკუაგდო 1648 წ. ამავე დროს უენეის კანტონები არავითარ შემთხვევაში არ ყაბულობდენ საფრანგეთის მფლობელობას. შვეიცარიის იტალიელები იტალიის ჯარს შეებრძოდენ 1802 წელს, ასეთის ერთსულოვანი კიყინით: «Liberi, ma Svizzeri» (Gois. Reynald). ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შვეიცარიის კანტონების წინანდელ მარტივმა დაკავშირებამ თანდათანობით მიიღო კონფედერატული გამოსახულობა. ახლად მიღებული კონსტიტუცია 1848 წლიდან მოყოლებული 34 ჯერ იყო გადაშინჯული. ამ რვეზიების მთავარი ზრუნვა ის იყო, რომ კანტონების მიერ თავისუფლების შენარჩუნებით მომხდარიყო კონფედერაციის უფლებათა გაფართოვება, რათა უკანასკნელს უკეთესად შესძლებოდა სრულიად შვეიცარიის დამოუკიდებლობის დაცვა.

ცალკე კანტონების თავისუფლება იმ გვარად არის დაცული კონსტიტუციით, რომ ყოველი მოქალაქე დღესაც სამშობლოდ სულ პირველად თავის კანტონსა სთვლის. კანტონი სამშობლოც არის და ჩამოყალიბებული სახელმწიფოც. როდესაც ფერმერი სახელმწიფოს იხსენიებს, ან მთავრობას, ის ამით თავის სამშობლო კანტონს იხსენიებს და მის მართველებს. თუ ლაპარაკია ფედერატულ ხელისუფლებაზე, ამ შემთხვევაში იგი იტყვის: «კონფედერაცია». ყოველი შვეიცარიელი სულ პირველად თავისი თემისა და კანტონის მოქალაქეა, მხოლოდ მერე კონფედერაციისაც. კანტონების სახელმწიფოებრივი წესი იმ ფორმებს ღებულობს. როგორც ეს თვითულ კანტონსა სურს, ამ სფეროში კონფედერაცია-

ას უფლება არა აქვს ჩაერიოს და თუ კანტონების უფლება-პრეროგატივები რითიმე შემოკლდება ხოლმე, ეს ხდება მათივე სურვილით და თანხმობით.

შვეიცარიის ასეთი წესწყობილება კავკასიელებს ბევრს გვეუბნება.

თვითეული ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკა თავისუფალია, მართველობის ისეთი ფორმები მიიღოს, როგორც მას მოეუტრება და უფრო მოუხდება. იგი საგნებით თავისუფალია და კონფედერაციის იმიტომა ჰქმნის, რომ თავისუფლება საგნებით და უკედ დაიცვას. სწორედ ამას ახორციელებს შვეიცარიის კონფედერაცია და ამასვე მიაღწევს კავკასიის კონფედერაციაც, როდესაც იგი წელში გაიმართება.

ამნაირს პირობებში აბა რამ უნდა დაუშალოს კავკასიელ რესპუბლიკებს, შეუერთდენ კონფედერატულ პაქტს? თუ დღეს ჯერ კიდევ სუსტნი ვართ, ეს იმიტომ, რომ დაქსაქსულნი დავიარებთ. ოთხი კავკასიის რესპუბლიკების შეერთებული მისწრაფებანი წარმოადგენს ისეთს ძალას, რომლის ხმა აღარ დარჩება გარეშე ქვეყნიერების ინტერესების და ყურადღებისა. ასეთი სრული კონფედერაცია შეიცავს 11 მილიონ მოსახლეობას. აი ასეთი საყურადღებო ძალებით უფრო ადვილად მოხდება ჩვენი შინაური საქმეების გადაწყვეტაც და გარეშე მტრების მოგერებაც. ასე მოხდა შვეიცარიის კანტონების კონფედერატულად შეკერის შემდეგ, ასევე უნდა მოხდეს კავკასიაშიაც!

კავკასიის ერთა ისტორია და ისტორია შვეიცარიისა ბევრს საერთო ნიშნებს ატარებს. საყურადღებო ის არის, რომ ეს მსგავსება, რომელიც ყოველთვის არ არის მხოლოდ გარეგნული თავს იჩენს ჩვენი ხალხების ზოგიერთ ყოფაცხოვრების დეტალებშიც. შვეიცარიელები ხშირად იტყვიან: «ჩვენი ერები თავისი კარგი მხარეებით სრულობით არ მიაგვანან ერთი მეორეს, სამაგიეროდ ნაკლებოვანობანი ყველას ერთი და იგივე გავქვას». ან კიდევ: «ჩვენს შორის ხშირი უთანხმოებანი, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაგვიწყდება ხოლმე: თუ რომელიმე ჩვენიანმა, ნიჭითა და ცოდნით, თავი სწვებზე უფრო მაღლა აიწია, მაშინ ჩვენ ყველანი, შეთანხმებულად, იმ თავში ერთად ჩაუფახუნებთ, რომ თავის ქერქში დაეტიოსო. ალბად ეს ანეგდოტურად გამოსახული ფსიქოლოგია, ჩვენ, კავკასიელებსაც, გავგახსენებს ზოგიერთ მშობლიურ პანბებს...

მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ არც იმ ისტორიულმა ხელის შემშლელმა ამბებმა და ვერც ყოფის მხარეების დამახასიათებელმა წვრილმანობამ ვერ აღმოფხვრა შვეიცარიელთა კანტონების შეკებაში სიყვარული და მისწრაფება თავისუფლებისა და სწორედ ამ უკანასკნელის გასამტკიცებლად შექმნა ისეთი კონფედერატული კავშირი, რომელიც, ვიმეორებთ, დღეს თითოთ საჩვენებელ მძლავრ სახელმწიფოებრივ ეროლულად ვადაიქცა და საყოველთაო პატივისცემას იწვევს. ჩვენი რომავალი ოთხი. თუ, ჯერ-ჯერობით, სამი რესპუბლიკის კავშირი არავის არ ფრით ემუქრება. არსებითად, იგი, მხოლოდ, თავდაცვის მომწყობი ორგანიზაცია არის.

კავკასიის კონფედერაცია ის ინსტრუმენტი, რომელიც უაღრესად გააძლიერებს კავკასიის ეროვნებათა შორის არსებული დაახლოვების ტენდენციას.

ამ თავითვე კავკასიელთა მასებში კონფედერაციული სულის განმტკიცება კი გაუადვილებს ჩვენს ერებს ნაკლების ზარალით და ტანჯვებით გადაიტანონ ის ხანა, მანამ ისინი უცხო ბატონობის უღელს ქვეშ დარჩებიან. ეს, ჯერჯერობით, თუნდაც მხოლოდ იდეური დაკავშირება ხელს შეუწყობს კავკასიის ერებს, შორს-მხედველობით და მოფიქრებით ისარგებლონ ვითარებები, რომელიც დაუახლოვებენ მათ დამოუკიდებლობის აღდგენის ვადებს. და როდესაც ჩვენი რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ფაქტად იქცევა, იმ დროდან ამ დამოუკიდებლობის დარაჯად და მცველად გამოვა ერთიანი კავკასიის კონფედერაცია, ძლიერი და ერთსულოვანი.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ კავკასიური პაქტის გამოცხადება მოასწავებს ერთი ეტაპის განვლას. საქირთა ამ ეტაპის გაღრმავება და განვითარება, ე. ი. კავკასიელ მასებში ფართე მუშაობა, როგორც იქ ჩვენს საერთო სამშობლოში, კავკასიაში, ასევე აქ, ემიგრაციაში.

გვახსოვდეს, რომ იგი უდიდესი დავალება, რომელიც ისტორიამ დააკისრა ჩვენს თაობებს, დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, არის კავკასიის ერების მჭიდროდ დაკავშირების განხორციელება.

მაშ დროს ნულარ ვკარგავთ,—შეუდგეთ ყველა კავკასიელები ეხლავე საერთო ძალებით ერთად მუშაობას. სწორედ ერთად, გარეშე პოლიტიკური დანაწილების და ყინიანობის, ან ჯგუფური გათიშვების.

გიორგი ქუთელი.

სერიოზული გაფრთხილება

წერილი ე. მარტენისა (Journ. de Gén. 36 წ. 8 იან.)

დიპლომატიურ მოლაპარაკების დროს უნდა გვულისხმობდეთ—ვიდრე წინამდებელი არაა დამტკიცებული—რომ მოპირდაპირე გონიერი და მცოდნე ადამიანია. საბჭოთა მთავრობა კი წინამდებეს მეთოდს მიმართავს: ის სპეკულიანტობს «ბურჟუების» გულუბრყვილობაზე, და ძალიან ხშირად იმარჯვებს კიდევ.

ჯერ იყო და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებმა თავს ლაფი დაასხეს ერთა ლიგას, მერე დაინახეს, რომ შეუძლიათ ლიგის სარგებლობა თავიანთ ინტერესებისთვის. ჯიბეში ჩაიმაღლეს «კაპიტალისტთა ლიგის» სამტრო პრინციპები და ქენევაში მობრძანდნენ. ისესხეს ლიგის პაციფისტური ფრანკოლოგია. გაცხარებით ღელავენ ყოველთვის, როგორც კი გაიგონებენ თავდასხმაზე ლაპარაკს. პაქტის დარღვევა აშფოთებს მათ უზომო სათუთს სინიღისს. რა არის ეს, ცინიზმი იმ რეჟიმისა, რომელმაც დახია ყველაზე უწმინდესი ხელშეკრულობანი და ფეხით გასთელა მის მიერვე საჯაროდ და თავი-

სუფლად აღიარებული სახელმწიფოების დამოუკიდებლობა? დიად, ცინიზმი უსირცხვილო: საბჭოები სარგებლობენ «ბურჟუების» მორიდებას და სიმხდალეს და პეიქრობენ, რომ ყველაფერია შესაძლებელი.

რა დაუინებით მუშაობდა მოსკოვი, რომ მთელი ქვეყნის სახელმწიფოებს ეცნოთ ჯერ დე-ფაქტო და მერე დე-იურე უზურპატორთა მთავრობა. ხან დაპირებებით, ხან მუქარებით მოსკოვმა წელნულა ყველგან გაიმარჯვა დიპლომატიურ ნიადაგზე. მისმა კაცებმა თავის თამაშში ბარტუც ჩაითრიეს, რომელსაც ეგონა საფრანგეთის საქმეს ვაკეთებო. ისინი მოვიდნენ ქენევაში ამის მალალი მფარველობის ქვეშ, და 1934 წ. სექტემბრის ტრაგიკომედიის დროს ვინც კი გაბედა სიმართლის გამომჟღავნება, ჯვარს აცვეს იგი. ვითარცა მტერი ნაციათა ლიგის! ბევრმა მოიწონა, სპორტული თვალსაზრისით, ენერგიული წინააღმდეგობა მოტასი და უარყოფითი ხმა პოლანდის და პორტუგალიის, მაგრამ ყველამ ჩასთვალა ისინი გულუბრყვილობად და მედიდურებად: სამმა საბჭოთა სახელმწიფომ გაბედა დაცვა პრინციპებისა (ანუ მომავლის გათვალისწინება) იმ დროს, როცა ყველა მხოლოდ დღის სარგებლობაზე ჰფიქრობდა!

თვრამეტი თვე ძლივს გავიდა და მომხდარმა ამბებმა უკვე გაამართლეს მათი მოსაზრება. ბრესტის და ტულონის არეულობამ, ბერლინის საქმემ, ბრაზილიაში განხრახუნლმა რევოლუციამ, ურუგვაის მწვარე საქმეებმა უკვე საკამოდ აუნიღეს თვალთბერ ბევრს იმათგანს, რომელთაც 1934 წ. სექტემბერს არაფრის დანახვა უნდოდათ. საბჭოთა რეჟიმის ვერაგობა პირდაპირ გამომდინარეობს მის ხელისუფლების ორმაგობისაგან. სტალინი არის ბატონი საბჭოთა კავშირისა და იგივე სტალინია ბატონი მესამე ინტერნაციონალისა. საბჭოთა კავშირი დაპირებებს იძლევა და მესამე ინტერნაციონალი არღვევს მათ. მოტყვილებული მხარე მოსკოვს შესჩივლებს და ასეთს პასუხს ღებულობს: «ჩემმა მარჯვენამ არა უწყის ჩემი მარჯვენას საქმეო».

მონტევიდეოში ბლოშევიკური შეთქმულება მოეწყო: ურუგვაიმ დაითხოვა საბჭოების დიპლომატიური მისია ისე, როგორც 1918 წელს შვეიცარიამ უკან დააბრუნა ნევის ნაპირებიდან ჩამოსული აგრეწოდებული «საკამერციო მისია». ეს სრულიად კანონიერი აქტია პოლიტიკური თავდაცვისა იმ სახელმწიფოს წინამდებე. რომელიც ბოროტად სარგებლობს თავის დიპლომატიურს პრივილეგიებს. მერე საბჭოები მოწვეულია თავის საქმეების ანგარიში ჩააბაროს ნაციათა ლიგას? თავს ნურავინ მოიტყვილებს: პირიქით, საბჭოები იწვევენ ურუგვაის სამართალში.

რა დანაშაული ჩაიდინა სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკამ? შესწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან. არ არსებობს არავითარი საფრთხე ომისა, თუ რასაკვირველია, სტალინი თავის ამოინებს არ გადააფრენს ატლანტიკის ოკეანეზე მონტევიდეომდე: ურუგვაი არ ჰფიქრობს თავს დაესხას რუსეთს, არც ამის დამოინებულ სახელმწიფოებს. ხოლო თუ თავისებურად განვმარტავთ პაქტის



მეთორმეტე მუხლს, შეიძლება ათქმევინონ საბჭოებს, რა სურთ. მოსკოვს ის სურს, რომ დააშინოს ის პატარა სახელმწიფოები, რომელთაც გადაჭრით გადაწყვიტეს, თავი არ წააბილწონ საბჭოთა კავშირის «დიპლომატიურს» მისიებს.

ბოლშევიზმი უარს არ ამბობს, კომუნისტური რევოლუციები გააჩაღოს მთელი დედამიწის ზურგზე. იგი ამრავლებს თავის «უჯრედებს» და ეს «უჯრედები» ყველაზე უფრო იქ მოქმედებენ, სადაც მათ მფარველობს და მხარს უჭერს დიპლომატიური მისია, რომელიც მყისვე განზე დგება, თუ რევოლუცია ჩაიფუშა. მოსკოვი ბრალსა სდებს ურუგვაის იმიტომ, რომ სხვებმა არ წაბაძნ მას.

მონტევიდეოს მაგალითი მჭევრმეტყველია: ვინც იცნო საბჭოთა კავშირი, უკვე თავს ვეღარ გაინთავისუფლებს მის ბადისგან; ხოლო ვინც ბედნიერია და არ უტყვია ეს ვერაგობის რეჟიმი, იგი დაცულია ფატალურ შეცდომებისაგან.

ამას მიხვდებიან ბერძნი.

მოზარდი თაობა გველუპება

(ბოლშევიზმის სამეცდომი)

ბოლშევიკებს ტრახახი უყვართ. ყოველ გზავჯვარდინზე გაიძახიან: ქვეყანა ავაშენეთ, სოციალიზმი განვახორციელებთ, ხალხი გავაბედნიერებთ, მაგრამ როდესაც ზოგად ფრანხებიდან კონკრეტულ სინამდვილეს უახლოვდებიან, იძულებულნი ხდებიან, ქედი მოიხარონ სინამდვილის წინაშე და გამოტყდნენ, თუ სახვებით არა, რამდენადმე მაინც თავიანთ დანაშაულობებში. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბოლშევიკური პრესა. ჩვენ გადავათვალიერეთ ტფილისის «კომუნისტის» ნუმერები. იქ ვკითხულობთ, რომ ჩვენი მოზარდი თაობა იღუპება, ბუნებრივი სიმიდრენი ნადგურდება, ერის ქონება ნიავდება.

ავიღოთ სწავლა-განათლების დარგი.

ვალაპარაკოთ თვით გაზეთი.

გ. გოგუაძე, — საქარ. განათლების სახკომისარიატის სასკოლო სამმართველოს უფროსი, — სწერს («კომუნისტი» 26 ოქტ. 1935 წ.). ჩვენი მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების შესახებ და სხვათა შორის ამბობს: «მშობლიური ენის წამება და დამახინჯება არ არის აღმოფხვრილი».

«ძალზე მესათრება თქვენი მინდა რომ ქთხოვო მაგრამ ძალაზე გაუვირებული ვარ ჩავაბარე მ საგანი და დამრჩა ერთი საგანი და მაქვს სუსტი ერთ საგანში ვიცი რომ ზაბუთებს და მიტვრვალბენ არ მინდა რომ ერთი წელი გავაცდინო», — ასე სწერს არასრულსაშუალო სკოლაში «კურსდამთავრებული» ახალგაზდა. რა ისწავლა ამ მოწაფემ შვიდი წლის განმავლობაში, რა წაიკითხა? სად სჩანს აქ მასწავლებლის ცოდნა და მზრუნველი ხელი?

«მერანმა, რომელმაც კვალი დასტოვა, მის გზაზე აღმოცენდა ინდუსტრიის კვალი—გაშენდა და განვითარდა სოც. მშენებლობა... ნ. ბარათაშვილის

ცხოვრების დროს იყო ისეთი მდგომარეობა, რომ მას შეექმნა პესიმისტური განწყობილება; მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში ჩვენს ქვეყანაში კი შეუძლებელია, რადგანაც თანამედროვე საზოგადოება დამაკმაყოფილებელია... ბარათაშვილის სევდიანობა მოცემულია მის ლექს «ფიქრი მტკვრის პირას» ამის შედეგია, რომ მტკვარი წინათ წარმოადგენდა «მტირალს», — სწერს საგამოცდო სამუშაოში დუიეტის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოწაფე. აღსანიშნავია, რომ აქ მოყვანილი ამონაწერები, უმწეო და მახინჯი აზრით, ენით და პუნქტუალობით, ქართული ენის მასწავლებლებს განუხილავთ, ყველაფერი დაუდასტურებიათ და ზოგი წარჩინებულადაც შეუფასებიათ.

როდესაც თვითონ მასწავლებელი უფიცია, ის სხვას ვერაფერს აწავლის. ასეთი სამწუხარო შემთხვევები არც ისე იშვიათია:

«გაცნობებთ, რომ ვიყავი წერა ქვის 4 წლედის სკოლის გამგედ 2 წელიწადი, რის შემდეგ ბორჩალოს განათლებას ვთხოვე გადავეყვანე რკინის გზის მახლობლად ვინაიდან ტბილისის დაუსწრებელ ინსტიტუტში ვირიცხები სტუდენტად და საშუალება მქონდა ტფილისთან ახლოს ვყოფილიყავი, რაზედაც ნება დამრთეს და გადმომიყვანეს სადახლოს შვიდ წლედში ქართული ენის მასწავლებლად».

ასე სწერს მასწავლებელი! ვაი იმ მასწავლებლის ბრალი, რომლებიც ასეთ მასწავლებლის ხელში იყენენ ან არიან.

«გაცნობებთ, რომ მე ვმუშაობდი ზემო აღნიშნულ სკოლაში 33-34 სამოსწავლო წლიდან დღემ ახლა კი თავისუფალი ვარ. იმ სკოლიდან ისე როგორც შეუფერებელი მე ვასწავლიდი მე სამე მეოთხე კლასებში მათემატიკა, ქართული ენა. მე ხუთე კლასში გეოგრაფია და ლიტერატურა».

ასე სწერს აღაიანის (კასპ. რ.) არა სრული საშუალო სკოლის ყოფ. მასწავლებელი.

აზრის დაბნეულობა, ულოგიკობა და ენის უსუსურობა იშვიათ გამონაკლისს არც ზემო საფეხურებზე შეადგენს—იმ საფეხურებზე, რომლებიც საშუალო სკოლისა და პედტექნიკუმების მასწავლებლებს ამზადებენ. აი ამის მაგალითები:

«სურვილი სამსახურში წასვლის შესახებ მე აღვნიშნე ზესტაფონი მაგრამ ფაქტიურად თქვენს მიერ ვიქენი დანიშნული ქუთაისის განათლების განყოფილების განკარგულებაში რომლის სურვილი მე არ მქონდა, აქედან გამომდინარე გთხოვთ დამნიშნოთ ზესტაფონის რაიონში დირექტორად», — სწერს ქუთაისის პედინსტიტუტის კურს დამთავრებული.

ზოგჯერ სკოლების დირექტორებსაც არ «სწყალობს» მშობლიური ენის ელემენტარული ცოდნა».

ასე ახსიათებს გავ. «კომუნისტი» ჩვენი მოზარდი თაობის აღზდა განათლების საქმეს. სჩანს მდგომარეობა სავალალოა. უნდა ვიფიქროთ, რომ სინამდვილე გაცილებით უარესია, ვინემ გაზეთის მიერ მოცემული სურათი. მთავალ თაობას გვიმახინჯებენ; ართმევენ ენას, გლეჯენ სულს. ჭეშმარიტად,



გულშემწარავი და დამაფიქრებელი გარემოება! მოწარდი თაობა ერისთვის ყველაფერია, თუ წამავალ თაობას სადი მემკვიდრე არ ეზრდება, საიმედო მომავალზე ფიქრი სულ ფუჭია. რად გინდა ნივთიერი დოვლათი, მიწა-წყალი, ბუნებრივი და წინა თაობათა შექმნილი სიმდიდრენი, თუ მას პატრონი, მომვლელი და დამცველი არ ეყოლება. განსაკუთრებით დღეს, როდესაც ეროვნებათა ქიშპობამ უაღრესად მწვავე ხასიათი მიიღო, მომავალ თაობათა აღზრდა-განათლების საქმე უდიდეს მნიშვნელობას იღებს. ამიტომაც არის, რომ მოწინავე ქვეყნებში მოწარდი თაობა, მისი ფიზიკური და სულიერი ფორმაცია, სახელმწიფოს და საზოგადოების მზრუნველობის უპირველეს საგანს შეადგენს. ბოლშევიკებს კი სურთ ცხოვრების ჩარხი უკუღმა შეაბრუნონ.

ცხოვრება ერების აღორძინებას მოითხოვს. არსებობისთვის ბრძოლა, ეროვნულ თვითსახეობის შენახვის ინსტიქტი უძლეველი ფაქტორებია ცხოვრებაში. ბოლშევიკები წინააღმდეგ ამ ფაქტორებს. ამიტომ მომავლის კარები მათთვის დახშულია. ანტი-ეროვნულად განწყობილი და მომქმედი, ვინც არ უნდა იყოს იგი—პირივნება, თუ პარტია, სახელმწიფო თუ საზოგადოება—უეჭველად განწირულია, რადგან ის სურის ის ტოტს, რომელზედაც ზის, ამას ადსტურებს, სახათა შორის, ის რეაქცია, რომელსაც ბოლშევიკების ანტიეროვნული პოლიტიკა თვით მასწავლებლებში იწვევს...

ვენახოთ მასწავლებლების ქონებრივი მდგომარეობა. მასწავლებლები მთელი თვეების განმავლობაში ხელფასს არ იღებენ და სკოლებიდან გარბიან. «მთელ რიგ რაიონებში მასწავლებლები ხელფასს არ იღებენ. მაგალითად, ჯუღელის რაიონში მასწავლებლებს შვებულობის დროის ხელფასი დღესაც ამ მიუღიათ. არც ერთი სოფლის მასწავლებელს მიღებული არ აქვს ავვისტოს და სექტემბრის ხელფასი, საბავშვო ბაღის მასწავლებლებს კი ივლისის ხელფასიც არ მიუღიათ. ყვარელის რაიონიდან იტყობინებიან: შილდის საბავშვო ბაღის მასწავლებლებს და დარაჯს 6 თვის ხელფასი არ აქვთ მიღებული. სოფლის საბჭო უარს ამბობს ხელფასის მიცემაზე—საამისო თანხები არ გვაქვს».

ასეთივე მდგომარეობაა სიღნაღის რაიონშიც და ბევრ სხვა რაიონებში» (ტფილის. «კომუნისტი», 1 ოქტ. 1935 წ.).

სკოლები ბედის ანაბარადაა მიტოვებული და გასაკვირიც არაა, რომ ასეთ სკოლებიდან მასწავლებლები გარბოდნენ.

ამ ამბავსაც ხსენებული გაზეთი მოგვითხრობს: «პედტექნიკუმის კურსდამთავრებულთა ნაწილმა უარი განაცხადა სოფლის სკოლებში მასწავლებლად წასვლაზე.

დანიშნულების ადგილზე არ გამოცხადებულან წალენჯიხის პედტექნიკუმიდან 10 კაცი, სამტრედიის ტექნიკუმიდან 3 კაცი, სენაკის პედტექნიკუმიდან 7 კაცი, ხაშურთან 3 კაცი და სხვ.» («კომუნისტი», 4 ნოემბერი, 1935 წ.).

ასეთია მდგომარეობა სწავლა განათლების დარგში, მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელი. ეროვნული არსებობის და წარმატების უპირველესი ფაქტორი—მოწარდი თაობა—გვესპობა. სად არის ხსნა? ხსნა ერთად ერთია: უნდა ამოშრეს ის წუმბე, რომელიც ბაცილებით ავსებს პაერს და შხამავს არემარეს.

ჩვენ აქ შევეჩეთ სწავლა-განათლების საქმეს. სხვა დარგებიც საშინელ სურათს იძლევიან, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ილია ნუტუბიძე.

პკიეზიდენტი-განმათავისუფლებელი

(წმრილი პრადიდან)

ასეთი სახელწოდება მიაკუთვნეს ჩეხოსლოვაკიის საკანონმდებლო პალატებმა მის პირველ პრეზიდენტს თომა მასარიკს, რომელიც გასული წლის 14 დეკემბერს გადადგა თავის თანამდებობიდან. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მართავდა თავის ქვეყანას, ახალგაზდა დამოუკიდებელ რესპუბლიკანური სახელმწიფოს ბედ-იღბალს ეს იშვიათი ბრძენი და ბელადი თავისი ერის. ფილოსოფოსი-პრეზიდენტის სავარძელში, ასე სწერდენ მასზე ხშირად უცხოელები. ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტი თომა მასარიკი ოთხჯერ ზედი-ზედ იყო არჩეული მადლიერი ერის მიერ პრეზიდენტად და თუ არა შეუბრალებელი ბუნების კანონი—მოხუცებულობა, შეიძლება ის კიდევ ყოფილიყო არჩეული 4 და 5 ჯერაც ამ თანამდებობაზე, რადგანაც მას, მართლაც რომ განმათავისუფლებელს თავის ქვეყნისა, რომელიც 300 წლის განმავლობაში ავსტრო-უნგრეთის უღლის ქვეშ იბრძოდა ეროვნული აღდგომისათვის,—პირველი როლი ეკუთვნის არა თუ ჩეხოსლოვაკიის ერის სახელმწიფოს განახლებაში, არამედ მისი აღორძინების და კანსოლიდაციის საქმეში. მთელი ქვეყანა ისე შეეჩვია მის პრეზიდენტობას, რომ მომხრეც და მოწინააღმდეგეც დემოკრატიული რეჟიმისა. ერთნაირად დარწმუნებულნი იყვნენ—სანამ ჩვენი მოხუცი იქი, ჩეხთა მეფეების სასახლეში, ზის ქვეყანას არავითარი საფრთხე მოეღისა.

გასული წლის დეკემბერში კი სახელმწიფოს მსცავანმა ხელმძღვანელმა განაცხადა—«ვხედავ, რომ ძალღონე აღარ მყოფნის, გავუძღვე ამ ძნელ და საპასუხისმგებლო თანამდებობას და ამიტომ ვანებებ მას თავსა». მწუხარებამ მოიცო მთელიერი. ვერავითარმა თხოვნამ ვერ გასჭრა ვერც სახალხო წარმომადგენლობის, ვერც მთავრობისამ, რომ შეეცვალა მასარიკს თავისი გადაწყვეტილება. ამ უდიდესმა მორალისტმა და თანამედროვე დემოკრატიულმა სახელმწიფო მოღვაწემ ჯერ კიდევ 15 წლის წინედ განაცხადა—როცა შევკატყობ, რომ არ მყოფნის ძალღონე გონებრივი თუ ფიზიკური, იმ წამსვე გადავდგები თანამდებობიდანო. დიად, სრულიად სალი გონებრივად მასარიკი ველარ უძღვება ძველებური ენერგიით მრავალფეროვან სახელმწიფო საქმე-



ებს და უბრუნებს საპრეზიდენტო მანდატს თავის ერს.

გადადგომის აქტში მასარიკი ურჩევს სახალხო წარმომადგენლობას აირჩიონ მის მაგიერ ედუარდ ბენეში, მისი თანამშრომელი როგორც უცხოეთში, ემიგრანტობის დროს, ისე სამშობლოში ამ 17 წლის განმავლობაში მუდმივ გარეშე საქმეთა მინისტრად. ეს რჩევა გადამდგარი პრეზიდენტის გადაიქცა გარდაუვალ ანდერძად და, როგორც ვიცით, გასული წლის 18 დეკემბერს ედ. ბენეში არჩეულ იქნა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტად. ამით გამოსატული იქნა უდიდესი პატივისცემა უკვე კერძო მოქალაქედ ქცეულ მასარიკისადმი, რომელიც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, აღიარებულ იქნა სპეციალური კანონით პრეზიდენტად—განმათავისუფლებლად, დაუტოვეს რა მას უკლებლივ პრეზიდენტის ჯამაგირი და მუდმივ საცხოვრებლად ლანის სასახლე, პრადის მახლობლად, უსაყვარლესი რეზიდენცია მასარიკის—მისი ერთგული ლეგიონერებისაგან შემდგარი საპატიო ყარაულით. ჰუმანიტარულად, ჩეხოსლოვაკიის ერთ აღმოჩნდა თავის სიმძლავრე და მართალი იყო ბრძენი მოხუცი, როცა დააბოლოვა გადადგომის აქტი: «სრულიად დარწმუნებულ ვარ, რომ ყველაფერი კარგად მოეწყობა, და თუ დმერთი დამაცლის, ერთხანს კიდევ გიყურებთ, როგორ მართავთ ქვეყანას».

ჩვენ მეტს ვერ შევჩერდებით ამ ამბებზე, რომლის მსგავსი ჩეხოსლოვაკიას არა განუცდია რა გარდა პირველი დღეებისა, როცა მან გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და პირველად აირჩია პრეზიდენტად თომა მასარიკი.

დიდად სათუთად და უდიდესი მღვდვარებით გამოეხმაურა დეკემბრის სახელმწიფო აქტებს აქ მთელი საზოგადოება საერთოდ და ყველა მისი შემადგენელი ნაწილები და პარტიები. ჩვენმა მკითხველმა იცის აგრეთვე ის გამოხმაურება, რომელსაც ადგილი ქონდა ყველა ქვეყანაში, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ წრეებში—დაფასება როგორც გადამდგარი პრეზიდენტის, ისე არჩეულის; მადლობა პირველისადმი და იმედი დამყარებულ მეთორეშე—აი რა იყო გამოთქმული ყველასაგან.

დაუსრულებლივ მოსდის და მოსდის გადამდგარი პრეზიდენტს ადრესები და მადლობა,—შიგნიდან და გარედანაც. ბუნებრივია, ქართულ ემიგრაციასაც ჩეხოსლოვაკიაში არ შეეძლო დიდი მადლობის გრძობით არ გაეცილებია მეთაური იმ ქვეყნის, სადაც წლებების განმავლობაში სამშობლოს მოწყვეტილმა იპოვა თავშესაფარი ყოველნაირი პოლიტიკური და ადამიანური გარანტიების დაცვით. 13-14 წლის წინად ჩამოვიდა აქ პირველად ქართველი ემიგრაცია, რომლის რიცხვი ორ-სამ წელიწადში ავიდა 60-70 კაცამდე (დღეს კი ის უდრის 15-20 კაცს). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას რომ მასარიკის რესპუბლიკაში (ამ სახელწოდებას აქ მოაოვებული აქვს მოქალაქეობრივი უფლება) ქართველმა ემიგრანტმა მოიპოვა მეორე სამშობლო—სრული თავისუფლება ეროვნული იდეალის საპრაპაგანდოთ, კუ-

ლტურული და მატერიალური არსებობისა. ქართველ ემიგრანტს ჰქონდა კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევა: თვალყური ედევნებია განუწყვეტლივ ჩვენი დროის უდიდესი ეროვნული გმირისთვის, რომელიც იძლევა კლასიურ ნიმუშს ეროვნული ფრენტის აუცილებლობის და შენახვის, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, ისე მის გასამაგრებლად და გადასარჩენად, სანამ ყოველნაირ გარეშე საფრთხეს არ გაუვლია.

დიახ სრულიად ბუნებრივი იყო, როცა ადგილობრივ ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებებში მართა სამადლობელი ადრესით პრეზიდენტ-განმათავისუფლებელს და ასეთივე ბუნებრივი და სასიამოვნო მოვალეობად ჩასთვალა მან მიელოცა პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩევა მასარიკის ერთგული მოწაფის და მიმდევარის ედუარდ ბენეშისთვის. რომელიც მთელი 17 წლის განმავლობაში წარმოადგენდა თავის ქვეყანას ყენევის არეობაში, სადაც მას არაერთხელ მიუტია ხმა საქართველოს სასარგებლოთ.—«მე ძალიან კარგად ვიცნობ თქვენ საქმეს, მაქვს მუდმივი კონტაქტი თქვენებთან ყენევაში, ვარ ყველაფერი კურსში; საბჭოების მიღება ერთა ღიგაში თქვენ საკითხს სრულიად არ ხსნის; პირიქით, ჩვენ არაერთხელ დაგვიდგება შემთხვევა, მოვავლოთ რუსეთს თქვენთან დადებული ხელშეკრულების შესრულება»,—გაუცხადა ამ სტრუქტურების დამწერს ერთი წლის წინედ მაშინდელმა გარეშე საქმეთა მინისტრმა, დღეს პრეზიდენტმა ბენეშმა, თავის ბინაზე უცხო სტუმრების ერთ-ერთ ოფიციალურ მიღების დროს. ჩვენ ამას დღეს სიამოვნებით ვიგონებთ და არც დავივიწყებთ.

კ. ლ.—ძე.

ჟან მარტენის მოხსენება

«Comité France-Orient»-ის ფრანგულმა სექციამ, რომელიც იწოდება კავკასიის, თურქესტანის და უკრაინის მეგობრების კომიტეტად, 25 იანვარს მოაწყვა «Journal de Genève»-ს დირექტორის ჟან მარტენის მოხსენება «A travers le Caucase». ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ საქართველოს უანგარო მეგობარს ჟან მარტენს. მას არა ერთი და ორი კამპანია ჩაუტარებია საქვეყნოთ ცნობილ და დიდი გავლენის მქონე «ჟურნალ დე ყენევე»-ის ფურცლებზე საქართველოს სასარგებლოდ. ბნი ჟან მარტენი არც ერთ შემთხვევას არ უშვებს, რომ საქართველოს სასარგებლოდ აამუშაოს თავისი მკვეთრი სიტყვა და ნიჭიერი კალამი.

ეს მისი უკანასკნელი მოხსენება იყო 1920 წელში კავკასიაში მოგზაურობის აღწერა და ნანახ-განცდილის გაზიარება მსმენელთათვის. დასახული მიზანი ლექტორმა შესრულა მეტად მოხდენილად და დიდი შთაბეჭდილებაც დასტოვა დამსწრეებზე, რომელთა შორის, გარდა დაჩაგრულ ერთა წარმომადგენლების, მრავლად იყვენ ფრანგები და სხვა უცხოელები—დეპუტატები, დიპლომატები, მწერლები, ჟურნალისტები და სხ.



ლექტორმა თავის მოხსენება დაიწყო ორიგინალური ეპიზოდით. 1920 წელს «ეურნალ დე ენევიის» დაჯილდოებით ჟან მარტენი გაემხანა კავკასიაში გასამგზავრებლად. იგი უნდა ჩასულიყო იტალიაში და იქედან გემით გამგზავრებულიყო ბათუმისაკენ. აღმოჩნდა, რომ გემი იტალიის ნავთსადგურიდან გადის მეორე დღეს 4 საათზე, ხოლო მას კი შეუძლია ნავთსადგურში მივიდეს სწრაფი მატარებლით არა უადრეს საღამოს ექვსი საათისა. შემდეგი გემი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ იქნება, რაც მისი მივლინების საგრძნობ ნაწილს შეადგენს. «ხერხი სჯობია ღონესაო», გაიფიქრა მოხერხებულმა ეურნალის დონესაო, გაეშურა ფოსტის კანტორისაკენ; დასწერა დეპეშა კაპიტნის სახელზე: «სასწრაფო პოლიტიკური მისიით მივემგზავრები ბათუმში; მატარებელი იგვიანებს, გთხოვთ შეაჩეროთ ექვს საათამდე გემის გასვლა», დეპეშა გადასცა მოხელეს. მოხელემ წაიკითხა დეპეშა და მიუთითა, რომ იგი ხელმოუწერელია. ჟან მარტენი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ აქაც ნახა გამოსავალი: «საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი»—მოაწერა დეპეშას და გადასცა მოხელეს. დეპეშა გაიგზავნა, ჟან მარტენი სწრაფი მატარებლით გაემგზავრა და მეორე დღეს ექვს საათზე უკვე გემზე იყო. გემზე ჟან მარტენმა გაიცნო ერთი მგზავრი, რომელიც ქართველი აღმოჩნდა. უკანასკნელმა მას უამბო, რომ გემის გასვლა დაგვიანდა, რადგან კაპიტანმა დეპეშა მიიღო სასწრაფოთ თავის ქვეყანაში მიმავალ საქართველოს საგარეო მინისტრისაგან, რომელიც თხოვდა მისთვის დაცვადათ საღამოს ექვს საათამდე; მას შემდეგ თურმე ქართველი დაეძებდა მინისტრს; ჟანმარტენიც აყვა მას და ერთად ეძიეს მინისტრი, მაგრამ ამაოდ. «ამნაირად—დააბოლოვა თავისი შესავალი ლექტორმა—საქართველოში ჩასვლამდე ჩემით მოვუხდინე ჩემს თავს ქართული ნატურალიზაცია და ბოდვის ვიხდი აქ დამსწრე ბ-ნ ჟორდანისა წინაშე, რომ მისი მინისტრის სახელით ვიმგზავრეო».

ამ შესავლის შემდეგ ლექტორმა დამსწრეთ გააცნო მოკლე ისტორია მთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და დასასრულად გადავიდა საქართველოზე. «ეგ უკანასკნელი უდაოდ უნდა ჩაითვალოს ამ ქვეყნიურ სამოთხედო»—განაცხადა მან და შეუდგა მისი ისტორიის გადმოცემას. მან აღნიშნა ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესანიშნავი მომენტები, შეჩერდა თამარ მეფის ხანაზე, შოთა რუსთაველზე და მის ვეფხის ტყაოსანზე. მოუყვა აუდიტორიას ამ ქვეყნის რუსეთის ტყვეობაში ჩავარდნა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, შემდეგ მისი მკვდრებით აღდგომა უკანასკნელ დიდი რევოლუციის პირველ ხანაში და მისი ხელახალი დაპყრობა მოსკოვის მიერ.

დასასრულ ჟან მარტენმა უამბო დამსწრეთ, რომ კავკასიის დაჩაგრულ ერებმა გადასწყვიტეს ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში გაერთიანება და ხელი მოაწერეს კავკასიის კონფედერაციის პაქტს. «მართალია ეგ პაქტი დიიწერა უცხოეთში,—დასძინა მან,—და იმ დროს, როდესაც კავკასია მტერს აქვს დაპყრობილი, მაგრამ ამით პაქტს მნიშვნელობა არ ეკარგება. ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციაც უცხო-

ეთში—ამერიკაში—დაიწერა და იქ გამოქვეყნდა პირველად; იმ დროს დღევანდელი ჩეხოსლოვაკია გერმანიის და ავსტრიის ნაწილებს შეადგენდა, დღეს იგი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მე დარწმუნებული ვარ, რომ კავკასიის ხალხებიც მოიპოვებენ თავისუფლებას და კავკასიის კონფედერაციაც ფაქტი გახდებაო»—დაათვა მან.

ლექტორი მხურვალე ტანით დააჯილდოვა მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ. დასასრულ ნაჩვენები იქნა ეკრანზე საქართველოს შესანიშნავი აღწერები, ჟან მარტენის მიერ გადაღებული მისი საქართველოში ყოფნის დროს; სურათების ასხნა-განმარტებას იძლეოდა თვითონ ლექტორი.

კრება დაიხურა «France-Orient»-ის ვიცე პრეზიდენტის ვიკონტ დე ლენის მოკლე სიტყვით, რომელმაც მადლობა გადაუხადა ლექტორს ფრიად შინაარსიანი მოხსენებისთვის და უსურვა მას, რომ კავკასიაში მეორეჯერ ჩასვლისას არარატის მთაზე ეპოვოს მშვიდობიანობის ის ტოტი, რომელიც ძველი ალექსის მტრედმა მიგვარა კიდობანში მყოფ ნოეს.

X.

ანანი სალუქვაძე

კიდევ ერთი ახალი მსხვერპლი ეროვნული და სოციალური მედგარი ბრძოლებისა; კიდევ ერთი ახალი სამარე გაუტყენელი მებრძოლისა; სამარე სამშობლო ქვეყნიდან შორს გათხრილი, ნათესავ მეგობრებისათვის მიუწოდებელი და მიუხედავი!

ნათქვამია—ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული ბუდობსო,—მაგრამ არ არის კანონი და წესი, რომელსაც გამონაკლისი არ ქონდეს და ეგ გამონაკლისი სწორეთ რომ საერთო წესის დადასტურებაა. ანანია სალუქვაძის სხეული ახალგაზდობიდანვე დაუძლურდა, დაავადმყოფდა; ფილტვების ავადმყოფობამ ლანდად აქცია ახალგაზდა ჭაბუკი, მაგრამ მისი სული დარჩა მტკიცე, ვით სალი კლდე; ფიზიკურმა დაუძლურებამ ვერ გასტენა ანანიას ჩამოკეტივობის ნებისყოფა.

ანანია 17 წლის ძლივს იქნებოდა, როცა რევოლუციონურ ბრძოლაში ჩაება და გასაოცარი ორგანიზაციული ნიჭიც გამოიჩინა. მიუხედავთ დევნისა, მრავალჯერ დატუსალებისა და გადასახლებისა, იგი მებრძოლთა რიგებს არ გამოშლია არც ერთხელ, სანამ მის დაავადმყოფებულ სხეულს არ გაეყარა მისი ჯანსაღი სული.

იგი იყო სოციალდემოკრატიულ პარტიის ერთი საუკეთესო ორგანიზატორთაგანი, შეგნებული პროპაგანდისტი და ჩინებული სახალხო აგიტატორი, პარტიაც დიდად აფასებდა მის ნიჭსა და უნარიანობას, მას ირჩევდა ხელმძღვანელ ორგანოებში და აძლევდა საპასუხისმგებლო დავალებებს. საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობის ხანაში იგი იყო დამფუძნებელ კრების წევრი.



საქართველოს დაპყრობის შემდეგ ანანია გახდა ერთი სულის ჩამდგმელთაგანი და მეთაურთაგანი იმ მკაცრი ბრძოლისა, რომელიც ქართველმა ხალხმა პირველ დღიდანვე წამოიწყო ოკუპანტების წინააღმდეგ და რომელიც დღესაც დაუზრეტელი სიმწვავეთ გრძელდება. გასაკვირი არ არის, რომ საოკუპაციო ხელისუფლებამ მას არ აპატიო ასეთი «თავხედობა» და მოვლიჯა იგი მის სამშობლო ქვეყანას, მშობელ ერს და ნათესავ მეგობრებს. ჩეკა-ციხეების შემოტარების შემდეგ იგი გადაისროლეს ჯერ სუხდალში, როგორც მძევალი, შემდეგ ლივადიაში და უკანასკნელად ყაზახისტანში. დასწვლულმა სხეულმა ვერ გაუძლო ჩეკა-ციხეების და გადასახლების საშინელ პირობებს: გასული წლის 25 ოქტომბერს მან დალია სული ქ. ალმატაში.

ქართველმა ერმა დაკარგა დიდი მებრძოლი, გაუტყეველი და თავდადებული პატრიოტი. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ უქმთ არ ჩაივლის ანანიას «განწირული სულისკვეთება»: მისი ნებისყოფის სიმტკიცე და სპეტაკი სულის სიძლიერე გამამხნევებელ მაგალითად იქნება გამოყენებული მისი უდროოდ დაკარგვით დაძლიებულ მებრძოლ მეგობრების მიერ. არც ქართველი ხალხი დაივიწყებს იმის სახელს, ვინც ეროვნულ საქმის წმინდა საკუთრებელებზე თავისი თავი მსხვერპლად მიიტანა.

ბ. არიძე.

ვლასა იმნაქი

ორ იანვარს, დილით, პარიზში გარდაიცვალა ვლასა კონსტანტინეს ძე იმნაქი. ვლასა დაიბადა ქ. ლანჩხუთში—1892 წელს. დიდი ომის დროს ის გაწვეული იყო ჯარში. აქ ის შევიდა ოფიცრის სკოლაში და მისი გათავების შემდეგ მსახურებდა კავკასიის ჯარში. რევოლუციის დროს, როცა ფრონტი დაირღვა—ის მეთაურობდა იმ რაზმს, რომელიც იყო ტფ. მუშ. და ჯარისკაცთა აღმ. კომ. განკარგულებაში, რომელიც თავდადებით იცავდა ტფილისში წესრიგს და დაურიდებლად ებრძოდა ყველა იმ ძალებს, რომელთაც სავსე იყო იმ დროს ჩვენი სატახტო ქალაქი. მისი გაბედული მოქმედების წყალობით, ალექსანდრეს ბაღში, მან დაიხსნა ტფილისის იმ ხიფათისაგან, რომელსაც უმხადებდნენ ქალაქს ბოლშევიკები. შემდეგ, როცა გვარდია შედგა—ის დაინიშნა მის კომენდანტად. ოსმალების შემოსევის დროს ის სათავეში უდგება გურიის მონაღლისეთა რაზმს და ნატანების პოზიციებზე მიდის. ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ის სხვებთან ერთად უცხოეთში წამოვიდა, ცხოვრობდა ჯერ ბერლინში, შემდეგ საფრანგეთში, სადაც თავის შრომით თავსაც ირჩენდა და სხვებსაც არ ივიწყებდა. ვლასა იყო ნიჭიერი კაცი, საინტერესო მოსაუბრე და კარგი ამხანაგი.

ლუკმა პურისათვის შრომასთან ერთად ის ასე რჩებოდა თვალყური ედევნებია თანამედროვე ლიტერატურისათვის, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში.

რომ. ვლასა გარდაიცვალა ახალგაზდა—43 წ. დასაფლავებულია სოფ. ლევილში.

მის დასაფლავებას შრავლად დაესწრენ თანამემამულენი. სიტყვები წარმოთქვენ სოს. ასათიანმა (ფრანგულად), ვიკ. ნოზაძემ და ვლ. მგელაძემ—ქართულად.

მეზობელი.

წერილი აშერიკიდან

ალარმისტი არა ვართ და არც რისიმე წინასწარმეტყველობას ვფიქრობთ, მხოლოდ ვცდილობთ გავითვალწინოთ მომავალი, როგორც ეს მოსჩანს დღეს და შესაფერი დასკვნა გამოვიტანოთ.

ჩვენთვის არ არის ინტერესებს მოკლებული, რა ხდება დღეს შორეულ აღმოსავლეთში, რა გავლენას მოახდენს იქაური ამბები რუსეთზე და ამ უკანასკნელის მდგომარეობა ჩვენზე.

როცა თითქმის მთელი ქვეყნის ერების გონება, განსაკუთრებით ევროპის, იტალია-ეთიოპიის ბრძოლისკენ მიპყრობილია,—იპონია მიილტვის წინააღმდეგ თავის ერისთვის მომავლის მოსაპოვებლად.

განზრახვა არა გვაქვს, რომელიმე ერის მოქმედებას მსჯავრი დავსდოთ და ვინმე ვამტყუნოთ ან ვამართლოთ, ვცდილობთ მხოლოდ აღვნიშნოთ ფაქტები.

ტოკიოდან «ნიუორკის ტაიმის» კორესპონდენტი იწერება, რომ იქ, ტოკიოში, ჯარმა გამოსცა წიგნაკი, რომელშიც ნათქვამია: «როცა ხმელთა შუაზღვა იყო ცენტრი ცივილიზაციისა, ქვეყნის წინამძღოლნი იყვნენ ბერძენები და რომი. მერე სარბიელი გადატანილი იქნა ატლანტიკაზე და ინგლისი გახდა მეთაური. ახლა ცენტრი გადადის წყნარ ოკეანეზე და იაპონია სდგას ქვეყნის ღერძზე, მის უმაღლეს წერტილზე. ჩვენ გვაქვს ხელსაყრელი დრო მოცემული ზეციდან და უპირატესობა ბუნებისაგან. ამასთან, ჩვენი ძალა არის ჩვენთან—ჩვენი ხალხის სულიერი ერთობა»-ო. მეორე ცნობა არის ოფიციალურ იაპონიის სავაერო ოფისიდან, რომელიც ამბობს პასუხისმგებელ განეთში: «ცნობა იაპონიისა როგორც მომწესრიგებელის და მშვიდობიანობის დამამკვიდრებელის აზიის აღმოსავლეთში (და ეს საეჭვო არ არის იაპონიისთვის) ნიშნავს ცნობას იაპონიის თავისუფალი ხელისა ამ ქვეყნის ნაწილში».

ეს ორი აზრი გამოსთქვამს იაპონიის დღევანდელს ფილოსოფიას, მის პოლიტიკურ-ეკონომიურ მიზანს და მისწრაფებას. ვინც ამას გადაეღობება—იაპონიის მტრია.

აქ დაინტერესებულნი არიან განსაკუთრებით ინგლისი, ამერიკა და რუსეთი (გარდა მკვიდრთა, რასაკვირველია). ამერიკამ სამი წლის წინეთ «მანჯუკოს დაარსების» დროს ენერგიული სიტყვიერი და წერილობითი პროტესტი განაცხადა, რომელმაც უშედეგოდ ჩაიარა. ამერიკისთვის იქ არ იყო სამკვიდრო-სასიცოცხლო ინტერესები ჩაქსოვილი. იაპონია

ნის იაფ ფასიანი სავაჭრო საქონელი დიდ მეტოქეობას უწევდა (და კიდევაც უწევს) არამც თუ აზიაში, არამედ თვით ამერიკის მატერიკზე. როგორც სამხრეთში ისე ჩრდილოეთში, თავის სახლში, შეერთებულ შტატებში. უკანასკნელმა მანჯურის კითხვაში «დათობა» ამჯობინა.

ინგლისმა, რომელს კომერციული ინტერესები მეტი აქვს, ხან სიჩუმეს და ხან მეგობრულ გავლენის მეთოდებს მიმართა და ამით დაკმაყოფილდა, რადგან სხვა ხერხს მიზანშეწონილად არ ხედავდა.

რუსეთმა მამა-პაპური ზომები იხმარა—მუქარა, ბაქი ბუქი და იარაღის ყლარუნი. მაგრამ ამით იაპონია ვერ შეაშინა და უკანასკნელმა მიზანს მიაღწია—მანჯურიას დაეპატრონა. სამი ათას კილომეტრზე ციმბირს მეზობლიდ გაუხდა. რუსეთი მანჯურიიდან გამოაძევა.

მაგრამ ამით საქმე როდი თავდება. იაპონია ამას არ კმაყოფილდება. ლამობს ჩინეთის და გარეშე მონგოლიის ბაზრის მოპოვებას და აუარებელი ნედლი მასალის სიმდიდრის ხელში ჩაგდებას. ამისთვის საჭიროა პოლიტიკური გავლენის მოპოვება. ამასთან ჩინეთი უკანასკნელ წლებში გაძლიერდა. 600 მდე პაეროპლანი აქვს დამზადებული, ჯარი იწრთვება და იაპონიისთვის საშიშო ხდება. თუ არა ახლა, მერე ვერც კი მოერევა. ამიტომ იაპონია აპირებს ჩინეთის დანაწილებას ავტონომურ ერთეულებად (ამას ჩინეთში ბევრი მომხრე ყავს, რადგან იაპონიას «წესიერება მოაქვს») და გარეშე მონგოლიის რესპუბლიკის რუსეთის გავლენიდან გამოგლეჯას.

იაპონია აქ ორ ძალას ეჯახება: პირველი—მკვიდრთა და მეორე უცხოელებისას, ე. ი. ამერიკის, ინგლისის და რუსეთის. პირველ ორს ინტერესებს ჩინეთის ბაზარი, რომლის კარი უნდათ «ღია იყოს». მაგრამ იაპონიამ ისეთი დრო აირჩია, რომ ინგლისი თავისი ინტერესების დასაცავად წყნარ ოკეანესთვის ერთ გემსაც არ გაიმეტებს. მისი მთელი ძალა არის საჭირო ევროპაში და აფრიკაში.

ამერიკა, რომლის ინტერესები ნაკლებად არის შელახული, იაპონიის შეჩერებას არ მოინდომებს. ერთი, რომ ეს არ უღირს «ზომად» და მეორე, ამერიკის აზროვნებას მიაჩნია «ჩინეთის ღია კარი» ძველ კაპიტალისტურ მოთხოვნილებად და ისევ მდიდრების გასამდიდრებლად დემოკრატიული ამერიკა სისხლს არ დაღვრის. ამერიკის ხალხი თანდათან შორდება იმ ბაზრს, რომ ერის კეთილდღეობისთვის თითქოს აუცილებელი საჭიროება იყოს კოლონიალური ბაზარი და სხვისი ნედლი მასალა (მით უმეტეს როცა თავისი ამოუშრეტელი აქვს). ამის მაგივრად მას უნდა თავის ხალხის კეთილდღეობა დაამყაროს შინ ქონებულ სიმდიდრეზე და მის დამუშავებაზე.

ამასთანავე იაპონია ირწმუნება, რომ მისი ინტერესები არ ეწინააღმდეგება ამერიკის და ინგლისის ინტერესებს.

მაშასადამე რჩებიან მოპირდაპირედ იაპონია ერთი მხრით და მკვიდრნი და რუსეთი, მეორე მხრით.

აქედან რუსეთის პირდაპირ გავლენის სფეროში

მხოლოდ გარეშე მონგოლიაა, რომლის პრემიერი, სამხედრო მინისტრი და სხვა ოფიციალები დღეს კრემლში არიან საბჭოების მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. 30 დეკემბრის «ნიუორკის ტაიმს»-ის მოკვრივიდან მიღებულ ცნობით გარეშე მონგოლიის პრემიერმა განაცხადა: «იაპონია ცდილობს მონგოლია მეორე მანჯუკოდ გადააქციოსო. და თუ გარეშე მონგოლია იაპონიის ხელში იქნა, მერე მისთვის ადვილი იქნება რუსეთზე და ჩინეთზე დაცემა». — როცა კორესპონდენტი შეეკითხა, თუ რუსების მთავრობა დაგეხმარებათ იაპონიასთან ბრძოლაშიო. — პრემიერმა უპასუხა: «ვიმედოვნებთ, რომ საბჭოები დაგვეხმარებიან, თუ ჩვენს ქვეყანას იაპონია შემოესია»ო. ალბად, პრემიერმა მიიღო კრემლის მთავრობისაგან ეს დაპირება, თორემ მათ სახლში, მათი სტუმრობის დროს ასე არ იტყვოდა...

რას წარმოადგენს გარეშე მონგოლია დღეს? ეს მონგოლები არიან შთამომავალი იმ ურდოებისა, რომელთა წინამძღოლი იყო ცნობილი ჩინგის ყაენი და რომელთაც ჰქონდათ დაპყრობილი მთელი რუსეთი მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეებში. მე-14 საუკუნეში ისინი იყვნენ მფლობელნი უდიდესი ტერიტორიისა, მთელი აზია და უმეტესი ნაწილი ევროპისა მათ ხელში იყო. დღეს მონგოლების რიცხვი მხოლოდ ხუთ მილიონამდეა, უმეტესი ნაწილი შიდა მონგოლიაშია, რომელიც ჩინეთის ფარგალშია.

გარეშე მონგოლიას დიდი სივრცე უჭირავს, მილიონზე მეტი ოთხკუთხი კილომეტრია, მაგრამ თხლად დასახლებულია—700.000 მცხოვრებია, ამაში ასი ათასამდე რუსია. 1924 წელს საბჭოების გავლენით აქ დამყარდა მონგოლთა სახალხო რესპუბლიკა, რომლის «ძიძა» არის რუსეთის საბჭოები, რაც იაპონიას ძალიან აწუხებს...

იაპონიის ნამდვილი განზრახვის გამოცნობა ძალიან ძნელია. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იაპონია ასე თუ ისე «მოუტივდება» ჩინეთს და თავის მოქმედებას გარეშე მონგოლიისკენ გადაიტანს. შეეცდება, ის რუსეთის წითლებს ჩამოაშოროს და ჩინეთსა და რუსეთს შუა «ბუფერი» შექნას. ამით ბიკალიდან მოყოლებული წყნარ ოკეანემდე რუსებს მეზობლად გაუხდება. რასაკვირველია, ეს მეზობლობა როგორც რუსებისთვის ისე იაპონიისთვის არაფრად სასიამოვნოა. ეს ტერიტორია საბედისწეროა რუსეთისთვის. იაპონიას არ შეუძლია დამშვიდებულ იყოს, სანამ ვლადივოსტოკი და მისი არემარე ჩანძახზე დაყენებულ ტამბახასავით იაპონიის გულზეა მიმიხნებული...

ცნობებია, რომ შორეულ აღმოსავლეთის ჯარის უფროსი «მარშალ» ბლიუხნერის რაპორტი კრემლში ენტუზიასტური არ იყო. იაპონიის ჯართან შედარებით ჩვენი ჯარი თანასწორიაო, ავიაციაში ჩვენ ვჯობნივართ, ფლოტში იაპონიაო, ტრანსპორტში კი მოვიკლებთო... როგორ მოიქცევიან საბჭოები: იომებენ თუ დაუთმობენ? როგორ საიმედო მათი ზურგი და წმინდაა მათი ენო?

რუსეთის მთავრობა, ძველი თუ ახალი, მუდამ



ნიშტების წვერებზე იწვა და რომელისამე მხარის
ოდნავად გაქანება კატასტროფით თავდებოდა. თი-
თქმის ყველა სხვა ერებს ომი აერთებს, სულიერად
ამაგრებს. რუსეთის ყოველი ომი კი ამბოხებით და
რევოლუციით იყო მოვლენილი. თვით რუსი ქვეშე-
ვრდომი, ყოველ უფლებას მოკლებული, მუდამ მში-
ერი და უკმაყოფილო, — თავის პატრიოტულ მოვა-
ლევად რაცხდა, რომ მიზანშეწონილ დროს ელა-
ლატა თავის მტარვალ მთავრობისთვის...

რუსეთის მთავრობის ქვეშ ძალათ მოქცეული
სხვადასხვა ერები ხომ მუდამ, როგორც კალმხები
ბადეში, იტანჯებოდნენ და გამწარებულნი გამოსა-
ვალს ეძებდნენ და ხშირად «ბატონის» განსაცდელის
დროს ეს ბადე სუსტი და დამპალი გამოდიოდა...

აქედან მორალი და დასკვნა ჩვენთვის და ჩვენი
მომე ერებისთვის მხოლოდ ერთია: გაასკეცება კუ-
ლტურულ-იდეური ბრძოლის შიგ სამშობლოში და
გარეთ ემიგრაციაში მზადება, ძალთა გაერთიანება...

ნაური.

ვაჟა-ფშაველას დილა

საფრანგეთში მყოფ ქართველ მწერალთა და უუ-
რნალოსტთა ასოციაციამ 19 იანვარს გამართა დილა
ვაჟა ფშაველას გარდაცვალების დღიდან 20 წლის
თავის აღსანიშნავად. დილა დაიწყო ასოციაციის
თავმჯდომარის ბ-ნ გ. გვახავას შესავალი სიტყვით.
პოეტის ბიოგრაფია და მისი შემოქმედების საერთო
დაფასება გააცნო დამსწრეთ ასოციაციის გამგეობის
წევრმა ი. ხურაბიშვილმა. მოხსენებები წაიკითხეს
აგრეთვე ბ. ის. მანუკავამ (ვაჟას პოეზია, პროზა და
პოემები), ა. მანველიშვილმა (ქართული კულტურა
და ვაჟას შემოქმედება) და შ. ბერძენიმ (ფრანგულად
— ვაჟას შემოქმედება და მისი აფორიზმები). სიამო-
ვნებით უნდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მოხსე-
ნებები მეტად შინაარსიანი იყო, მაგრამ ისიც უნდა
აღინიშნოს, რომ მოხსენებები მოზრდილი ტანის
იყო და შეუძლებელი აღმოჩნდა განზრახულ პროგ-
რამის სავსებით ამოწურვა. ამ მიზეზით მოუსმენე-
ლი დარჩა ვლასა მეგლაძის «მოგონებანი».

პატარა თეზიკო აბდუშეღმა მოხდენილად წაი-
კითხა ვაჟას ორი პატარა ლექსი («იმერეთს» და «ქე-
იფი»). დამსწრეთ მეტად მოეწონათ სიმ. ბერძენიანის
მიერ ჩინებულად წაკითხული «ჩხიკვთა ქორწილი».

დილას დაესწრო რამდენიმე უცხოელიც. ერთმა
მათგანმა პროგრამის გარეშე წაიკითხა ფრანგულად
ნათარგმნი ვაჟას სამი ლექსი.

დარბაზს ამშვენებდა სიმ. ბერძენიანის მიერ და-
ხატული, ყვავილებით მორთული ვაჟას დიდი სუ-
რათი.

დასწრე.

საქართველოს ამბები

(გასეთებიდან)

მალე გამოვა გრ. ორბელიანის წერილების პირ-
ველი ტომი, წიგნი შეიცავს 1832 50 წ. წერილებს.

— წელს ახალწელიწადს უნდა შესულიყო პირ-
ველი მატარებელი სოხუმში. ამ წლის განმავლობა-
ში გაგრძელდება რკინის გზის გაყვანა ვაგრამდის.

— 1937 წლისთვის, როცა სრულდება ასი წელი-
წადი ილ. ჭავჭავაძის დაბადებიდან, გამოვა მის ნა-
წარმოებთა აკადემიური გამოცემა ორ დიდ ტომად.

— გამოვიდა ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა ახალი
გამოცემის პირველი ტომი. წიგნს დართული აქვს
ყაზბეგის არქივის კატალოგი, მას ნნ-მდე მოთხრო-
ბა, დრამა, ვოდევილი და წერილი დარჩენია, რომ-
ლებიც დღემდის უცნობია მკითხველისათვის.

— სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფი-
ლიალმა ცნობა მიიღო, რომ ნეაპოლის აღმოსა-
ვლეთის ინსტიტუტმა დააწესა სპეციალური პრე-
მია შოთა რუსთველის შესახებ საუკეთესო თხზულე-
ბისათვის.

— მზადდება გამოსაცემად ვაჟა-ფშაველას ეთ-
ნოგრაფიული წერილების კრებული ფშაველებისა
და ხევსურების შესახებ.

— გ. ასატურმა დაამთავრა «ვეფხისტყაოსნის»
გადათარგმნა სომხურად. თარგმანს რედაქტორობს
პოეტი ელიშე ჩარენცი და იგი მალე იქნება გამოცე-
მული სომხეთის სახელგამის მიერ.

მათველები თურქეთში

თურქეთის მთავრობამ სტამბოლიდან გადაასა-
ხლა ყველა ქართველები. უკანასკნელებს დროებით
ბინა მისცა საბერძნეთმა.

მათველები ამერიკაში

გასულ ნოემბერს ნიუორკში გარდაიცვალა 85
წლის მოხუცი ივანე სახუაშვილი, რომელმაც დას-
ტოვა საქართველო 1923 წელს. განსვენებული იყო
გულ-გაუტყენელი პატრიოტი, მეცადინე, პატიოსანი
და ყველასათვის სასიამოვნო პიროვნება. ქართველ-
თა საზოგადოებამ შესაფერად დაასაფლავა განსვენ-
ებული.

— 7 დეკემბერს ნიუორკში ქართველთა საზოგა-
დოებამ გამართა საჯარო საღამო, რომელსაც დიდ-
ძალი ხალხი დაესწრო. ყველა დიდად ნასიამოვნები
დარჩა.

წერილები კლასიკის მიხედვით

I.

ბატონო რედაქტორ!

გთხოვთ, თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ განცხადებას: ოქტომბრის გასულს პარიზში დაარსდა ქართველ მშობელთა პატარა წრე «ქართული კერა».

ამ წრის მიზანია, ჩვენს მოზარდ თაობას გაუცხოველოს ძვირფასი სამშობლოს სახე, შეაყვაროს მისი მომხიბლავი ბუნება, მისი ჰანგები, შეასწავლოს მშობელი ერის ზნე-ჩვეულება, ზეპირსიტყვიანობა, მწერლობა და ისტორია, რამდენადაც ეს შესაძლებელია ჩვენი ცხოვრების მძიმე პირობებში. სამწუხაროდ არც ერთი სხვა ემიგრაციის მოზარდი თაობა არ არის ისე მოუვლელი და უპატრონო ეროვნული აღზრდის მხრივ, როგორც ჩვენი.

ამის შედეგი კი ის არის, რომ უცხო კულტურა, რომელიც ქართველ ბავშვს პირველ დღიდან გარს არტყია, დაუბრკოლებლივ იჭრება მის ნორჩ ბუნებაში და თანდათან იპყრობს მის მამა-პაპულ სულიერ მემკვიდრეობას.

ამას ძალაუვნებურად ჩვენი ბავშვის გადაგვარება მოსდევს.

საჭიროა ამ ეროვნული საფრთხის წინააღმდეგ ენერგიული თავდაცვა.

ჩვენი მოვალეობაა, შვილები გადაგვარებას გადავარჩინოთ და ისინი სამშობლოს ეროვნულად საღნი და უვნებელნი მივგვაროთ.

«ქართული კერა» სწორედ ამ მიზანს ემსახურება და რომ მას მიადწიოს, იგი ყველაფერს გააკეთებს, რის გაკეთებაც კი შეუძლიან გამოცდილებას, საქმის სიყვარულსა და მოვალეობის შეგნებას მოზარდი თაობის წინაშე.

ჯერ-ჯერობით «ქართული კერა» ამეცადინებს პატარა ბავშვებს სკოლის ასაკამდე სამშობლოთნაშუადღეის 3 საათიდან 6 საათამდე.

ბინის მისამართი: 11, rue Jean-de-Beauvais 11. Paris (5). მეტრო ოდენ.

ახლო მომავალში იგი დაიწყებს მეცადინეობას აგრეთვე სკოლაში მოსიარულე ბავშვებთანაც ხუთშაბათობით ნაშუადღეის 3 საათ. 6 საათამდე.

დასასრულ «ქართული კერა» დიდ მადლობას უძღვნის ქვემო დასახელებულ პირთ თუ დაწესებულებათ, რომელთაც მისი სასარგებლოდ ყოველთვიური დახმარება გაიღეს:

დელის-ბალიას მაწვნის წარმოებამ 50 ფრ.

ქნელიკაოწრეთლის ასულმა დემოლონისამ 30 ფრ.

ქნ ანეტა ოქრომჭედლიშვილის ასულმა ბაბეს მეუღლემ 20 ფრ.

აქვე გაახლებთ ქართველ ბავშვებისათვის გამართული «შობის ხის» შემოსავალ-გასავლის ანგარიშს.

შემოსავალი:

ქნ ელენე აფხაზისაგან	900 ფრ.
ქნ მარიამ ვახნაძის ასული კოსტისაგან	150 »
სამი მანდილოსნისაგან	36 »
ბილეთებიდან	535 »
სულ	1621 ფრ.

ხარჯები:

ბინა	435 ფრ. *)
მუსიკა	150 »
შობის ხე	141 » 50 ს.
ბუფეტი	121 »
სათამაშოები	193 »
დროშები	28 » 50 ს.
სხვა წვრილი ხარჯები	30 » 10 ს.
სულ	1099 ფრ. 10 ს.

დარჩა 522 ფრ. 40 სანტიმი.

«ქართული კერა» დიდ მადლობას უძღვნის ზემო დასახელებულ პირთ, რომელთაც მას ბავშვებისათვის «შობის ხის» მოწყობა შეაძლებინეს.

ყოველგვარი კორესპონდენცია «ქართული კერა»-ს სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Madame Sophie Kédia.

58, rue de Meudon, Clamart. Seine. France.

პატივისცემით ქართული კერა.

II.

ბ-ნო რედაქტორ!

გასულ დეკემბერში მივიღე ქ-ნ თამარ კვარაცხელიასაგან, ნიუორკიდან, ქართველ ბავშვთა სასარგებლოდ 45 დოლარი, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებ როგორც თვით ქ-ნ თამარს აგრეთვე ყველა ჩვენ თანამემამულეთ და გარეშე პირთ, ვინც მონაწილე იყო ამ კეთილი საქმისა.

ელ. აფხაზისა.

20 იანვარი 1926 წ.

III.

ბ-ნო რედაქტორ!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშვალეებით მადლობა გამოუცხადო ყველა მათ, ვინც პირადად თუ წერილობით მონაწილეობა მიიღეს ჩემს მწუხარებაში ჩემი ძვირფასი მეუღლის ვლასა იმნაძის უღროოდ დაკარგვის გამო.

პატივისცემით ლუიზა იმნაძისა.

*) აქედან 100 ფრ. ბელგიელ კომპატანების შენობაში აღებულ ბინის ბედ დატოვებული.